დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარინე ჯანაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

1. რუსუდან უსტიაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
2. თეა მელქაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
3. ანა ანუშიძე- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
4. ეთერი ხობუა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
5. მაკა გიორგბერიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. მარინე მურჯიკნელი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
7. ნათია იასაღაშვილი- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
8. ნინო გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
9. ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
10. გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229322239

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭართალი
ფაქტობრივი მისამართი	დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭართალი
საფოსტო ინდექსი	1800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლის პორტალი https://skolebi.emis.ge/schools
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chartali@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599 057 576

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 15 აპრილის MES 7 26 0000431916 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

	შექმნისა და სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელლ ჭართლის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 18-19 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭართალი, ორი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭართალი, ორი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭართალი, ორი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა 11 ექსპერტით, მათ შორის 2 ზოგადი განათლების ხარისხის და 9 საგნობრივი ჯგუფის ექსპერტით.
ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.
ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტების მიერ ადგილზე განხორციელდა შენობის ვიზუალური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.
სკოლაში იყო თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლის მასწავლებლებთან, დირექციასთან ურთიერთობისას ნათლად ჩანდა მათი პროფესიული კოლეგიალურობა და ეთიკა. ჩანდა, რომ ავტორიზაციის პროცესისთვის მთელი სასკოლო საზოგადოება იყო მობილიზებული და კათედრის წევრთა შორის, ასევე კათედრათა შორის თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება სკოლისთვის ჩვეული პრაქტიკაა. სკოლაში ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის ჯგუფთან თანამშრომლობისთვის, როგორც მათ მიერ მომზადებული დოკუმენტაციით, ასევე ადგილზე უშუალო კომუნიკაციის პროცესში. ავტორიზაციის გუნდს, სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო მშვიდ და საქმიან გარემოში.
სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს და დამატებით დოკუმენტაციას. ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის შემდეგ, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა, რომლის შესწავლა დისტანციურად განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ყველა სგნობრივი ჯგუფის ექსპერტი ამოწმებდა საგნობრივ კურიკულუმებს.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გავესაუბრეთ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს.
ვიზიტის ბოლოს მოხდა შეჯამება და მიგნებების სკოლისათვის გაცნობა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლაში ხორციელდება ბევრი საინტერესო კლასგარეშე აქტივობა. მათ შორის, აღსანიშნავია სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ლიტერატურული ღონისძიებები. მოსწავლეები, ბიბლიოთეკარის და მასწავლებლების დახმარებით, იძიებენ და ერთმანეთს უზიარებენ ადგილობრიც საინტერესო ისტორიებსა და ამბებს. საინტერესო ფაქტია ის, რომ ამ სკოლის ბიბლიოთეკარი გახლავთ დიდი გამოცდილების და მაწავლებლობის სტაჟის მქონე ქალბატონი, თვით დიდებული გოდერძი ჩოხელის და. ბიბლიოთეკაში ხშირად იკრიბებიან დაინტერესებული მოსწავლეები და ისმენენ ცოცხალ ამბებს, გოდერძი ჩოხელზე, მწერალზე, რომელმაც პირველყოფილი მთა, ქართული მითოლოგია, ქართული ზღაპრების საკრალური გარემო, სახარებისეული სიბრძნე, სიკეთისა და ბოროტემის მარადიული დაპირისპირება ქართულ მაგიურ რეალიზმად აქცია.

ასეთი სულშიჩამწვდომი შეხვედრები დიდ ზეგავლენას ახდენს სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაზე. სკოლაში იგრძნობოდა განსაკუთრებით მშვიდი, კეთილმეგობრული, კაცთმოყვარეობით გაჯერებული ატმოსფერო.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 80	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საბაზო -საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.4.1.1	1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო	***1) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, 2027 წლის 13 მარტამდე, უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება ორივე შენობისათვის. (მდგრადობა).*** ***2) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, 2027 წლის 13 მარტამდე უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან ორივე შენობისათვის.***

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.	
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, 2027 წლის 13 მარტამდე უზრუნველყოს მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის მოწყობა ორივე შენობისათვის.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო-საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებ უზრუნველყოს გამწოვი სისტემის და სველი წერტილის მოწყობა (ერ შენობაში) 2027 წლის 4 ივნისამდე, შესაბამისობის გეგმის მიხედვით.*

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორიN2.1.1.1.	*დაწყებითი საფეხური*	**<u>უცხოური ენები</u>** **<u>რჩევა</u>** : დაწყებით საფეხურზე, სასურველია, თუ უცხოური ენების კათედრა შეთანხმდება საგნობრივი კურიკულუმის ერთიან ფორმაზე და შესაბამის სვეტებში ინფორმაციის სწორად განთავსებაზე.
ინდიკატორი N2.1.2.3	*დაწყებითი საფეხური*	**<u>უცხოური ენები</u>** **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე, სასურველია, უცხოური ენების კათედრაზე კურიკულუმში მიეთითოს დამატებითი ციფრული

		თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში ინგლისურ და რუსულ ენებში.
ინდიკატორიN2.1.2.5	*დაწყებითი საფეხური*	**<u>უცხოური ენები</u>** **<u>რჩევა</u>** დაწყებით საფეხურზე, სასურველია,შეფასების რუბრიკები და შეფასების კრიტერიუმები მოერგოს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს. სასურველია, უფრო აქტიურად გამოიყენონ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების პრაქტიკა საგაკვეთილო პროცესში.
ინდიკატორიN2.2.2.1	*დაწყებითი საფეხური*	**<u>უცხოური ენები</u>** **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე, სასურველია, უცხოური ენის კათედრაზე საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლბი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.
ინდიკატორიN2.1.2.2	*დაწყებითი საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე, ხელოვნების კურიკულუმში მკაფიოდ გამოიკვეთოს თემატური ბლოკები, რომელსაც მიემართება სასწავლო თემები.
ინდიკატორიN2.1.2.5	*დაწყებითი საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სასურველია, ესთეტიკური აღზრდის კათედრამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემატური ბლოკის მიხედვით, სადაც ინდიკატორები დამიზნებული იქნება სამიზნე ცნებებზე.
ინდიკატორიN2.2.2.1	*დაწყებითი საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა**

		რჩევა: დაწყებით საფეხურზე, სასურველია, შეიქმნას რესურსების ბანკი, სადაც ატვირთული იქნება ვიდეო და ფოტო მასალები, ხელით დამზადებული სახალისო და საინტერესო რესურსები.
ინდიკატორიN2.2.2.3	*დაწყებითი საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე, სასურველია, სკოლაში დაინერგოს კლუბური ან დარგობრივი წრეების მუშაობა, რათა მოსწავლეებმა მეტად განივითარონ შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარები.
ინდიკატორიN2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (დაწყებითი საფეხური) მათემატიკის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ ისარგებლონ კათედრაზე დამტკიცებული ჩარჩოთი და ყველა კურიკულუმი მოვიდეს შესაბამისობაში.
ინდიკატორიN2.1.2.3	*დაწყებითი საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (დაწყებითისაფეხური) სასურველია, თემის სწავლებისას გამოსაყენებელი დამატებითი ვიდეო თუ სხვა სახის ელექტრონული რესურსის დასახელებისას კურიკულუმებში გადაიტანონ კონკრეტულ რესურსზე წვდომის ლინკი და არა მხოლოდ დასახელება.
ინდიკატორი N2.1.2.5	*დაწყებითი საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა**: (დაწყებით საფეხურზე) სასურველია, რომ სასწავლო წლის (სემესტრის) დაგეგმვისას წინასწარვე შეიქმნას შეფასების რუბრიკები და მათი შექმნისას გათვალისწინებული იყოს კურიკულუმში გაწერილი თემები; შეფასების რუბრიკების შედგენისას, მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმის უახლესი ვერსიითა და მათემატიკის საგნობრივი

		სტანდარტით. შეფასების რუბრიკები გაწეროს თითოეული თემის მიხედვით და ორიენტირდეს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე.
ინდიკატორიN 2.2.1.1	*დაწყებითი საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (დაწყებით საფეხურზე) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას.
ინდიკატორიN2.2.2.2	*დაწყებითი საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (დაწყებით საფეხურზე) სასურველია, მოხდეს ელექტრონული რესურსების/ბმულების გადახედვა და განახლება.
ინდიკატორიN2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური*	**ტექნოლოგიები** **რჩევა:** სასურველია ტექნოლოგიებში დაწყებით საფეხურზე, ქვესაკითხები /სამიზნე ცნებები უფრო დეტალურად ჩაიშალოს შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით. სასურველია კურიკულუმში დაემატოს ფორმულირებები, როგორიცაა: *„დავალება ადაპტირდება მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად“ან* „სსსმ მოსწავლეებისთვის გამოიყენება ალტერნატიული მეთოდები და შეფასება“
ინდიკატორიN2.1.2.2	*დაწყებითი საფეხური*	**ტექნოლოგიები** **რჩევა:**

		დაწყებით საფეხურზე, სასურველია, დაიგეგმოს პროექტები სხვა საგნებთან ინტეგრირებით, როგორიცაა ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და სხვა.
ინდიკატორიN2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური*	**დაწყებითი განათლება** **რჩევა:** სასურველია დაწყებითების კათედრაზე შეთანხმებულ იქნას ოთხივე საგნის (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) ერთიანი ფორმატის კურიკულუმის ჩარჩო. ასევე, მოხდეს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უკვე არსებული კურიკულუმების გადახედვა/გადასინჯვა.
ინდიკატორიN2.1.2.4	*დაწყებითი საფეხური*	**დაწყებითი განათლება** **რჩევა** : სასურველია დაწყებითების კურიკულუმებშივე იყოს გათვალისწინებული სსსმ მოსწავლეებისათვის შემოქმედებითი დავალებები .
ინდიკატორიN2.2.1.1	*დაწყებითი საფეხური*	**დაწყებითი განათლება** **რჩევა:** სასურველია, სასწვლო წლის დასასრულს განხორციელდეს დაწყებითების კათედრის კურიკულუმების რევიზია და შეტანილ იქნას ცვლილებები საჭიროებისამებრ, კოლეგებთან თანამშრომლობით.
ინდიკატორიN2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** დაწყებითი საფეხურისათვის, სასურველია, შემუშავებული იყოს კურიკულუმის ერთნაირი ჩარჩო; კურიკულუმს თავში მიეთითოს

		სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა(ორივე); კურიკულუმებში ყველა გრაფა შეივსოს. საკითხი და შემოქმედებითი დავალების იდეა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. კონტექსტ მაგალითში ჩაიწეროს რესურსის/ტექსტის მხოლოდ სათაურები. შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა.
ინდიკატორიN2.1.2.2	*დაწყებითი საფეხური*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა** - სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმისთვის, შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება. სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი რესურსი.
ინდიკატორიN2.1.2.5	*დაწყებითი საფეხური*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნოს იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საბაზო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორიN2.1.2. 1	*საბაზო საფეხური*	**<u>უცხოური ენები</u>** **<u>რჩევა</u>** : სასურველია, საბაზო საფეხურზე, უცხოური ენების კათედრა შეთანხმდეს საგნობრივი კურიკულუმის ერთიან ფორმაზე. სასურველია ინგლისურ და რუსულ ენებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

ინდიკატორი N2.1.2.3	*საბაზო საფეხური*	**უცხოური ენები** **რჩევა:** სასურველია, საბაზო საფეხურზე კურიკულუმში მიეთითოს ყველა დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. (ინგლისურ და რუსულ ენებში)
ინდიკატორიN2.1.2.5	*საბაზო საფეხური*	**უცხოური ენები** **<u>რჩევა</u>** საბაზო საფეხურზე, სასურველია, შეფასების კრიტერიუმები მოერგოს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს. სასურველია, აქტიურად გამოიყენებოდეს მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების პრაქტიკა საგაკვეთილო პროცესში.
ინდიკატორიN2.2.2.1	*საბაზო საფეხური*	**უცხოური ენები** **რჩევა:** საბაზო საფეხურზე, სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.
ინდიკატორიN2.1.2.2	*საბაზო საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** საბაზო საფეხურზე, სასურველია, ხელოვნების კურიკულუმში მკაფიოდ გამოიკვეთოს თემატური ბლოკები, რომელსაც მიემართება სასწავლო თემები.
ინდიკატორიN2.1.2.5	*საბაზო საფეხური*	**რჩევა:** სასურველია, საბაზო საფეხურზე შემუშავდეს შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემატური ბლოკის მიხედვით, სადაც ინდიკატორები მიმართული იქნება სამიზნე ცნებებზე.

ინდიკატორიN2.2.2.1	*საბაზო საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** საბაზო საფეხურზე, სასურველია, შეიქმნას რესურსების ბანკი, სადაც ატვირთული იქნება ვიდეო და ფოტო მასალები, ხელით დამზადებული სახალისო და საინტერესო რესურსები.
ინდიკატორიN2.2.2.3	*საბაზო საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** საბაზო საფეხურზე, სასურველია, სკოლაში დაინერგოს კლუბური ან დარგობრივი წრეების მუშაობა, რათა მოსწავლეებმა მეტად განივითარონ თავიანთი შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარები.
ინდიკატორიN2.1.2	*საბაზო საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (საბაზო საფეხურზე)სასურველია, კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული ჩარჩოთი და ყველა კურიკულუმი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
ინდიკატორი 2.1.2.2.	*საბაზო საფეხურზე*	**მათემატიკა** **რჩევა:** (საბაზო) სასურველია, კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების შესაბამის სვეტებში ზუსტად იყოს დატანილი ინფორმაცია. კერძოდ, IX კლასის მათემატიკის კურიკულუმში დაკორექტირდეს "სამიზნე ცნება/ქვეცნებების" შესაბამისი სვეტი. სასურველია, მკაფიოდ ჩანდეს რა სამიზნე ცნების/ქვეცნებების დაფარვას ემსახურება კონკრეტული საკითხის სწავლება.
ინდიკატორი N2.1.2.5	*საბაზო საფეხურზე*	**მათემატიკა** **რჩევა**: (საბაზო საფეხურზე)სასურველია, სასწავლო წლის (სემესტრის) დაგეგმვისას წინასწარვე შეიქმნას შეფასების

		რუბრიკები და მათი შექმნისას გათვალისწინებული იყოს კურიკულუმში გაწერილი თემები; შეფასების რუბრიკების შედგენისას, მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმის უახლესი ვერსიითა და მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით შესაბამისად და შეფასების რუბრიკები გაწეროს თითოეული თემის მიხედვით და ორიენტირდეს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე.
ინდიკატორიN 2.2.1.1	*საბაზო საფეხურზე*	**მათემატიკა** **რჩევა:** (საბაზო საფეხურზე) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის, სასურველია, სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნის დონეს.
ინდიკატორიN2.2.2.2	*საბაზო საფეხურზე*	**მათემატიკა** **რჩევა:** (საბაზო საფეხურზე) სასურველია, სხვადასხვა ეტაპზე მოხდეს რესურსების ბმულების გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.
ინდიკატორიN2.1.2.1	*საბაზო საფეხურზე*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** საბაზო საფეხურისათვის, სასურველია, შემუშავებული იყოს კურიკულუმის ერთნაირი ჩარჩო; კურიკულუმს თავში მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა(ორივე); კურიკულუმებში ყველა გრაფა შეივსოს. საკითხი და შემოქმედებითი დავალების იდეა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. კონტექსტ მაგალითში ჩაიწეროს რესურსის/ტექსტის მხოლოდ სათაურები. რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური. შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა. მეტად

		წარმოჩინდეს რუბრიკაში, თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში.
ინდიკატორიN2.1.2.2	*საგაზო საფეხურზე*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა** - საგაზო საფეხურზე, სასურველია, რომ სახელმწიფო ენის კათედრამ ყველა კლასის კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება.
ინდიკატორიN2.2.2.3	*საგაზო საფეხურზე*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენოს მრავალფეროვანი რესურსი, ელექტრონული და დამატებითი ლიტერატურა.
ინდიკატორიN2.1.2.5	*საგაზო საფეხურზე*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრა საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნოს იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა. მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით, რა ფასდება დავალებაში.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორიN2.1.2.1	*საშუალო საფეხური*	**<u>უცხოური ენები</u>** **<u>რჩევა</u>** : საშუალო საფეხურზე, სასურველია, უცხოური ენების კათედრა შეთანხმდეს საგნობრივი კურიკულუმის ერთიან ფორმაზე.

		სასურველია, ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება და ძირითადი საკითხები.
ინდიკატორი N2.1.2.3	*საშუალო საფეხური*	**უცხოური ენები** **რჩევა:** სასურველია, საშუალო საფეხურზე კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი, დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. (ინგლისურ და რუსულ ენებში)
ინდიკატორიN2.1.2.5	*საშუალო საფეხური*	**უცხოური ენები** **<u>რჩევა</u>** საშუალო საფეხურზე, სასურველია, შეფასების კრიტერიუმები მოარგონ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს. სასურველია, თუ უფრო აქტიურად გამოიყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების პრაქტიკას საგაკვეთილო პროცესში.
ინდიკატორიN2.2.2.1	*საშუალო საფეხური*	**უცხოური ენები** **რჩევა:** საშუალო საფეხურზე, სასურველია, უცხოური ენის კათედრაზე საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლბი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.
ინდიკატორიN2.1.2.2	*საშუალო საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** საშუალო საფეხურზე, სასურველია, ხელოვნების კურიკულუმში მკაფიოდ გამოიკვეთოს თემატური ბლოკები, რომელსაც მიემართება სასწავლო თემები. ასევე უფრო კონკრეტულად ჩაიშალოს ქვეცნებები.

ინდიკატორიN2.1.2.5	*საშუალო საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სასურველია ესთეტიკური აღზრდის კათედრამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემატური ბლოკის მიხედვით, სადაც ინდიკატორები დამიზნებული იქნება სამიზნე ცნებებზე.
ინდიკატორიN2.2.2.1	*საშუალო საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** საშუალო საფეხურზე, სასურველია, რესურების შევსება და მისი გამრავალფეროვნება, სასურველია, შეიქმნას რესურსების ბანკი, სადაც ატვირთული იქნება ვიდეო და ფოტო მასალები, ხელით დამზადებული სახალისო და საინტერესო რესურსები.
ინდიკატორიN2.2.2.3	*საშუალო საფეხური*	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** საშუალო საფეხურზე, სასურველია, სკოლაში დაინერგოს კლუბური ან დარგობრივი წრეების მუშაობა, რათა მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა მეტად განავითარონ თავიანთი შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარები.
ინდიკატორიN2.1.2	*საშუალო საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (საშუალო საფეხურზე) სასურველია, კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული ჩარჩოთი და ყველა კურიკულუმი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
ინდიკატორიN2.1.2.3	*საშუალო საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (საშუალო საფეხური) სასურველია, თემის სწავლებისას გამოსაყენებელი დამატებითი ვიდეო თუ სხვა სახის ელექტრონული რესურსის დასახელებისას XI და XII კლასების კურიკულუმებში ჩაემატოს კონკრეტულ რესურსზე წვდომის ლინკი და არა მხოლოდ დასახელება.
ინდიკატორი N2.1.2.5	*საშუალო საფეხური*	**მათემატიკა**

		რჩევა: (საშუალო საფეხურზე) სასურველია, რომ სასწავლო წლის (სემესტრის) დაგეგმვისას, შეიქმნას შეფასების რუბრიკები და მათი შექმნისას გათვალისწინებული იყოს კურიკულუმში გაწერილი თემები; შეფასების რუბრიკების შედგენისას, მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმის უახლესი ვერსიითა და მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით შესაბამისად და შეფასების რუბრიკები გაწეროს თითოეული თემის მიხედვით და ორიენტირდეს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე.
ინდიკატორიN 2.2.1.1	*საშუალო საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (საშუალო საფეხურზე მ) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის, სასურველია, სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.
ინდიკატორიN2.2.2.1	*საშუალო საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (საშუალო) სასურველია, რომ მათემატიკის XI და XII კლასის კურიკულუმებში მკაფიოდ მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ინდიკატორიN2.2.2.2	*საშუალო საფეხური*	**მათემატიკა** **რჩევა:** (საშუალო საფეხურზე) სასურველია, წლის განმავლობაში სხვადასხვა ეტაპზე მოხდეს ბმულების გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.
ინდიკატორიN2.1.2	*საშუალო საფეხური*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** საშუალო საფეხურისათვის, სასურველია, შემუშავებული იყოს კურიკულუმის ერთნაირი ჩარჩო; კურიკულუმს თავში მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა(ორივე); კურიკულუმებში ყველა გრაფა შეივსოს.

		საკითხი და შემოქმედებითი დავალების იდეა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. კონტექსტ მაგალითში ჩაიწეროს რესურსის/ტექსტის მხოლოდ სათაურები. რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური. შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა. მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში, თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში.
ინდიკატორიN2.2.2.3	*საშუალო საფეხური*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** საშუალო საფეხურზე, სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ სასწავლო პროცესში გამოიყენოს მრავალფეროვანი რესურსი ელექტონული, ფილმები და ა.შ.
ინდიკატორიN2.1.2.5	*საშუალო საფეხური*	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** საშუალო საფეხურზე, სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრა შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნოს იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით, რა ფასდება დავალებაში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ ეთანხმება საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტს და იზიარებენ მასში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს.

დასკვნის პროექტში წარმოდგენილი იყო ხარვეზი:

2.2.2.3 სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის ლაბორატორიაში არ არის მოწყობილი გამწოვი სისტემა და ლაბორატორიის სველი წერტილი

აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც 2027 წლის 4 ივნისამდე უზრუნველყოფს მათ აღმოფხვრას, ამიტომ კომპონენტი **2.2 და ინდიკატორი 2.2.2.3 მეტწილ** შესაბამისობაშია,

ამრიგად, შესაბამისობის გეგმასთან ერთად, ოთხივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო **სკოლის მისიაა:** შექმნას უსაფრთხო და მხარდამჭერი სასწავლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად. სკოლა მიზნად ისახავს უზრუნველყოს მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარება — როგორც აკადემიური, ისე სოციალური, ემოციური და პრაქტიკული უნარების გაძლიერებით, რათა მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზება.

ხედვა : სკოლა ისწრაფვის ჩამოყალიბდეს თანამედროვე, განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცედ, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და ლიდერული უნარების განვითარებას. ამასთანავე, სკოლა ხედავს საკუთარ თავს, როგორც სოფლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში, აერთიანებს სხვადასხვა თაობას, ხელს უწყობს კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალური ინიციატივების განხორციელებას და ამზადებს მოსწავლეებს წარმატებული მომავლისთვის როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ გარემოში.

ღირებულებები

- პატივისცემა – ვქმნით ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს.
- თანამშრომლობა (გუნდურობა) – ვავითარებთ გუნდურ მუშაობას, ურთიერთდახმარებასა და საერთო მიზნებისკენ ერთობლივ სწრაფვას.
- ოჯახური გარემო – სკოლა არის თბილი და მზრუნველი სივრცე, სადაც მოსწავლეები, თანამშრომლები და მშობლები ერთიან საზოგადოებად აღიქვამენ თავს;
- განვითარება და სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში – ხელს ვუწყობთ უწყვეტ სწავლას, თვითგანვითარებასა და ახალი ცოდნის შეძენას;
- პასუხისმგებლობა – ვზრდით პასუხისმგებლობის გრძნობას;
- თანასწორობა – ვქმნით გარემოს, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა და მხარდაჭერა საკუთარი პოტენციალის რეალიზებისთვის

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების მიზნებს.

სკოლის შესაბამისობის გეგმიდან ჩანდა, რომ არ ჰქონდათ შემუშავებული სკოლის ხედვა და ღირებულებები, თუმცა, თვითშეფასებაში აღნიშნული იყო, რომ მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა. ადგილზე ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება- დამტკიცებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის შესაბამისობის გეგმიდან ჩანდა, რომ არ ჰქონდათ შემუშავებული სკოლის ხედვა და ღირებულებები, თუმცა თვითშეფასებაში აღნიშნული იყო, რომ მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა. ადგილზე ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება- დამტკიცებაზე. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფმა, იმუშავა სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შექმნაზე. მუშაობის პროცესში ჯგუფმა, სასკოლო საზოგადობის ჩართულობით, კარგად შეისწავლა სასკოლო თემის და საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები. სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი საზოგადოებრივი და თემის პრობლემების გადაჭრას უნდა ემსახურებოდეს. სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები, როგორიცაა არაფორმალური განათლების მექანიზმები, პროფესიული მხარდაჭერისა და განვითარების ხედვა და მექანიზმი, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა. სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლისთვის აქტუალურია თანამშრომლობა, გაზიარება, ანგარიშგება, ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა, კულტურატაშორისი დიალოგი, გამჭოლი პრიორიტეტების აქცენტირება. სკოლა მისიით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლა ქმნის უსაფრთხო გარემოს, რისთვისაც აქვს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი დამცავი საშუალებები. დამრიგებლები შესვენებების დროს იმყოფებიან საკუთარ კლასებთან. ადმინისტრაცია ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე, განვითარებასა და ერთმანეთთან მშვიდობიან თანაარსებობაზე. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით, სკოლის საჯარო სივრცეში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინვენტარით- მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მერხებით, დაფებით. სკოლს აქვს მოწესრიგებული ეზო. სკოლის ყველა სივრცე უზრუნველყოფილია ინტერნეტით, აქვს მოწესრიგებული სველი წერტილები, გათბობის სისტემა, ადაპტირებული გარემო. ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და რესურსით. კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით, სპორტული სივრცით სარგებლობა შეუძლია ყველა დაინტერესებული პირს. სკოლაში არის ურთიერთ თანამშრომლობითი კულტურა.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის შესაბამისობის გეგმიდან ჩანდა, რომ არ ჰქონდათ შემუშავებული სკოლის ხედვა და ღირებულებები, თუმცა თვითშეფასებაში აღნიშნული იყო, რომ მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა. ადგილზე ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება- დამტკიცებაზე.

სკოლას მკაფიოდ აქვს გააზრებული და ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომლითაც არეგულირებს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებას. სასკოლო საზოგადოება: ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, სამეურვეო საბჭო, თემის წარმომადგენლები, სკოლის პარტნიორი დაწესებულებები - ყველა აქტიურად არის ჩართული შემუშავების პროცესში.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში გათვალისწინებული იყო სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი). სკოლის თითოეული რგოლი ღიად და გამჭვირვალედ უზიარებდა ერთმანეთს შეხედულებებს და ერთობლივად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებების მიღებაში. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი,რომელიც წარედგინა დირექტორს და დირექტორის წარდგინებით საბოლოო სახით ჩამოყალიბდა პედაგოგიურ საბჭოზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის შესაბამისობის გეგმიდან ჩანდა, რომ არ ჰქონდათ შემუშავებული სკოლის ხედვა და ღირებულებები, თუმცა თვითშეფასებაში აღნიშნული იყო, რომ მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა. ადგილზე ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება- დამტკიცებაზე და მის გაზიარებაზე. ადგილზე შემოწმებით ჩანდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამისათვის სკოლა იყენებს სხვადასხვა ფორმას და მისთვის რელევანტურ

საშუალებებს, როგორიცაა სკოლის ვებ გვერდი, საზიარო ღრუბლოვანი სერვისები, სასკოლო მატერიალური სივრცე, საკომუნიკაციო არხები, რომელსაც სკოლა იყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის. და ა.შ. სასკოლო საზოგადოებას აქვს მიკუთვნების, თანაშემოქმედობითობის განცდა. მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და კონსენსუსით. მისიის ხედვის და ღირებულებების გაცნობა მოხდა მასწავლებლებისათვის პედაგოგიურ საბჭოზე და ასევე სამეურვეო საბჭოზე მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლებისათვის. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს მშობელთა კრებაზე სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები მისაღებია დაინტერესებული მხარეებისათვის. სკოლის მისია და ხედვა გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის სოციალურ ქსელსა და ვებ გვერდზე, ასევე, დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული. სკოლის შესაბამისობის გეგმიდან ჩანდა, რომ არ ჰქონდათ შემუშავებული სკოლის ხედვა და ღირებულებები, თუმცა თვითშეფასებაში აღნიშნული იყო, რომ მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა. ადგილზე ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება- დამტკიცებაზე და გამოქვეყნებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდებაა „სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა“, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის #448 დადგენილებით და იგი როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო კონტროლით, დამოუკიდებლად ახორციელებს სტატუსის შესაბამის საგანმანათლებლო და სხვა საჯარო საქმიანობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
დამრიგებლის მუშაობის დებულება
სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.(ფილოსოფია)
კითხვარების ანალიზი
სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი
პედსაბჭოს ოქმი
სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას, მისიასა და ხედვაზე დაფუძნებით, შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა. სკოლას აქვს საკუთარი მეთოდოლოგია და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს ამ მეთოდოლოგიის მიხედვით წარმართავს.

სკოლას აქვს ერთიანი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც ფარავს როგორც მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება-გაზიარების საკითხებს, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება-მონიტორინგი-შეფასების თემებს. ასევე, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსაც.
სტრატეგიული დაგეგმვა წარმოდგენილია, როგორც ციკლი, რომელიც იწყება გეგმების შემუშავებით, შემდეგ, სკოლის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება ამ გეგმების მონიტორინგი და შეფასება, მიღებული შედეგების გათვალისწინებით შედის ცვლილებები გეგმებში და ციკლის დასასრულს იწყება მზადება ახალი გეგმების შედგენისთვის. სკოლა სტრატეგიული განვითრებისა და სამოქმედო გეგმებს შეიმუშავებს ,,სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ მიხედვით. მეთოდოლოგიით განისაზღვრა: სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები (თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, და ანგარიშვალდებულება), სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის შესაბამისობის გეგმიდან ჩანდა, რომ არ ჰქონდათ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, თუმცა თვითშეფასებაში აღნიშნული იყო, რომ მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა. ადგილზე ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია სტრატეგიული გეგმის შემუშავება- დამტკიცებაზე. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას და მჭიდრო კავშირი აქვს სკოლის ხედვასთან. სტრატეგიული გეგმა წარმოდგენილია, როგორც ამ სასურველ მდგომარეობასთან მისვლის გზა. სტრატეგიული დაგეგმვის შერჩეული მეთოდოლოგიაა SWOT ანალიზი, სადაც სკოლას გააზრებული აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები სრულადაა ასახული სტრატეგიულ გეგმაში. ასევე განისაზღვრა მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის სამოქმედო გეგმა შედგენილია ერთი წლისთვის და უფრო კონკრეტულია, ვიდრე სტრატეგიული გეგმა. მასში თავმოყრილია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მისაღწევად საჭირო ის აქტივობები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაშია შესასრულებელი. სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი ემთხვევა სასწავლო წელს.

სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ამოსულია სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ასევე, გათვალისწინებულია ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები, თვითშეფასება ძალიან კარგად ავლენს იმ გამოწვევებს, რომლებიც მიმდინარე პერიოდში დგას სკოლის წინაშე. შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში უნდა იკითხება, როგორ ხდება იდენტიფიცირებული გამოწვევების გადაჭრა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლის სამოქმედო გეგმაში ნათლად არის გაწერილი ამოცანები, გაზომვადი ინდიკატორები. კონკრეტულ აქტივობაზე განსაზღვრული პირები და მათი ფუნქციები-სამუშაო აღწერილობები არის ურთიერთდაკავშირებული. სამოქმედო გეგმაში კონკრეტულ აქტივობაზე გაწერილმა პირებმა იციან მასზე გაწერილი დავალების არსი, რაც გამოიკვეთა ვიზიტის პროცესში ინტერვიურებით, გამოცემული ბრძანებით და სხვა მტკიცებულებებით, რაც ადასტურებს, რომ გეგმები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის რეალისტურობას. მიმდინარე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების გზებია მოცემული. მასში სტრატეგიული გეგმის საკითხების გათვალისწინებით, გაიწერილია სტრატეგიული მიზნების და ამოცანები მისი შესაბამისი აქტივობები. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები, რეალისტური ვადები, შესრულების ინდიკატორები ასევე ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები რომლებიც სკოლის შესაძლებლობებშია და საჭიროა მოცემული ამოცანების შესასრულებლად. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ჩაერთულია მთელი სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სამეურვეო საბჭოს ოქმი (სტრატეგიულ დაგეგმვაზე)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა აღწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობის შეფასებისა და მონიტორინგისათვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, მოსწავლეთა მშობლები და სხვა). მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს, მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ მტკიცებულებებით. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი) ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშს. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს შესრულებულ აქტივობებზე დაკვირვების შედეგების გაანალიზებას და შეფასებას. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით (კითხვარები, გამოკითხვები, პირადი საუბრები და სხვა). სამუშაო ჯგუფი იყენებს გამოკითხვას სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის, ასევე, წარმოადგენს შუალედურ/საბოლოო დასკვნას, შეფასებას და ანალიზს სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სასწავლო წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) სკოლის დირექტორის შემაჯამებელ ანგარიშში ასახული იქნება სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სამოქმედო გეგმის შედეგები ცნობილი და გაზიარებულია ყველა დაინტერესებული მხარისათვის, სამოქმედო გეგმების შედეგები საჯაროა. იგი ქვეყნდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები ეცნობება სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლისთვის სტრატეგიული განვითარება ციკლური პროცესია, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შესრულების და მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოხდება სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების შესრულებულ სამუშაოთა ანალიზი, ძირითადი ტენდენციების გათვალისწინება, რაც შემდეგში აისახება სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის, აქტივობების და პრიორიტეტების დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის ანგარიშის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისა და პერსონალის სამუშაო პროცესის გადანაწილების დროს გათვალისწინებულია სკოლის მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები.

სკოლს პერსონალის სამუშაო აღწერილობები არეგულირებს მათი მოქმედების არეალს, ფუნქციურ დატვირთვას და ანგარიშვალდებულებას, სამუშაო აღწერილობა ნაწილია შრომის ხელშეკრულებისა. სამუშაო აღწერილობა არის დეტალური, ნათელი განმარტებებით და მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც დამსაქმებელსა და დასაქმებულის ურთიერთობას ეხება. სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც საქმიანობის დაგეგმვისა და პასუხისმგებლობის ეფექტური საშუალებაა. წესდებით განსაზღვრული ორგანიზაციის სტრუქტურის სავალდებულო რგოლებია: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, კათედრები. ორგანიზაციის თითოეული წარმომადგენელი გაცნობილია სკოლის მიერ დამტკიცებულ სამუშაო აღწერილობას (თანამდებობრივი ინსტრუქციები) რომელიც განსაზღვრავს იერარქიულ სტრუქტურას და მკაფიოდაა გაწერილი პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები და მათი საქმიანობის როლი დაწესებულების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად. დოკუმენტი ხელმისაწვდომია თითოეული თანამშრომლისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს, სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, დასახული მიზნების მიღწევას. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლს ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. სამოქმედო გეგმაში სკოლს ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი საჭირო ადამიანური რესურსი ფუნქციების შესაბამისად არის განსაზღვრული. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და

არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გამიჯნულია ერთმანეთისაგან, ყველა მათგანი მოქმედებს დამოუკიდებლად, მაგრამ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ამით ხელს უწყობენ სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინირებული მუშაობა ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სკოლის სამოქმედო გეგმაში სკოლის ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ფუნქციების შესაბამისადაა განსაზღვრული. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრუქტურა;
 საშტატო განრიგი;
 თანამდებობრივი ინსტრუქცია;
 თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
 პედაგოგიური საბჭოს ოქმი და სამოქმედო გეგმა;
 სამეურვეო საბჭოს ოქმი და სამოქმედო გეგმა;
 კათედრის მუშაობის დებულება;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესის განხორციელებისას, დაწესებულება ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით. ის გამომდინარეობს სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმიდან და შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევაში. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი ხელმისაწვდომი და გაზიარებულია დაინტერესებული პირებისთვის.

სკოლამ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შექმნა შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი თანხვედრაშია პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებასთან, სკოლის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციასა და საქართველოს შრომის კოდექსთან. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გაცნობას. სკოლში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

პერსონალის მართვის პროცესები სკოლაში უკავშირდება, როგორც მასწავლებლებს, ასევე ნებისმიერ სხვა დასაქმებულ პირებს. სკოლის ძირითადი ფუნქციის-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და მოსწავლეთა მიღწევების შედეგების გაუმჯობესება უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანური რესურსების მართვის კარგად დაგეგმილ სისტემასთან. ამისათვის სკოლაში დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადამიანური რესურსის მართვის პროცესების ეფექტურად წარმართვა, შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. მასში გაწერილია შემდეგი საკითხები: კადრების მოზიდვა და შერჩევა, კონკურსის გამოცხადება და ეტაპები, პერსონალის კვალიფიკაცია, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება და სხვა. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული შინაგანაწესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

პერსონალის პრევენციული და ინტევენციული მართვისთვის მნიშვნელოვანია სკოლა ახორციელებს ადამიანური რესურსის საჭიროების დროულ ანალიზს. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, ადამიანური რესურსების საჭიროების პროგნოზირება იწყება მოთხოვნის დადგენით. მოთხოვნა ჩნდება შიდა

გადაადგილების, კადრების გადინების, კანონმდებლობის ცვლილების, არასაკმარისი კომპეტენციის და სხვა შემთხვევებში. პროგნოზირების შემდეგ განისაზღვრება სამუშაო ძალის მიწოდების წყარო, მოხდება საჭირო პოზიციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება შიდა გადაადგილებით (ფუნქციის დაკისრება, გადაყვანა ახალ პოზიციაზე), თუ საჭირო კადრის გარედან მოზიდვა. ვაკანტური ადგილის შემთხვევაში ცხადდება შიდა და გარე კონკურსი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. პერსონალის ინტერვენციული მართვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით, მაგალითად დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში თუ როგორ უზრუნველყოფს სკოლა თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირებას. სკოლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის ფუნქციებს ახორციელებს, დირექტორის მოადგილე, რომელიც ასევე რეგისტრირებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და სათანადო კვალიფიკაციის კანდიდატის შერჩევის მიზნით ობიექტურობის, გამჭვირვალობის და საჯაროობის გათვალისწინებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი თანამშრომელთა შერჩევის წესი. სკოლა ვაკანსიის შემთხვევაში აქვეყნებს განაცხადს www.teachers.ge ან www.hr.gov.ge. კონკურსანტის შერჩევა მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად. საბოლოო ჯამში კანდიდატთან რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ფორმდება ხელშეკრულება, საწყის ეტაპზე გამოსაცდელი ვადით. შერჩეული კადრი ვალდებულია სკოლაში წარმოადგინოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ცნობები (ცნობა ნასამართლობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“). სკოლაში ახალი თანამშრომლის შერჩევა ხდება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, საჯაროობის, კოლეგიალობის და კორექტულობის პრინციპებზე დაყრდნობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლაში არის 17 უფროსი, 1 წამყვანი მასწავლებელი. მაღალკვალფიციური კადრები სასკოლო საზოგადობას უჩენს ნდობის, მიკუთვნებულობის განცდას. პერსონალისთვის წაყენებული მოთხოვნები მკაფიოდაა გაწერილი სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" და ,,სამუშაო აღწერილობა", რომლებიც შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს. სკოლაში უზრუნველყოფილია შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სწავლა-სწავლების პროცესი თანამშრომლების ჩართულობითა და გუნდური მუშაობის პრინციპით მიმდინარეობს, ყველა ღონისძიება თუ აქტივობა ეფუძნება თანამშრომელთა და კათედრების ჩართულობას. სკოლის სტრუქტურული რგოლები ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედებენ. ამის მაგალითია პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და მრჩეველთა საბჭოს საქმიანობა. სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასევე აქტიურადაა ჩართული მოსწავლეთა თვითმართველობა, ისგ-ს ჯგუფი და ასე შემდეგ. სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი შეთანხმებულად მოქმედებენ საჭირო საკითხების გადაწყვეტის პროცესში. გუნდური მუშაობა სკოლის წარმატებების მნიშვნელოვანი კომპონენტია

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

წარმატებული გამოცდილების გაზიარებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში, იგი მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის და პროფესიული დახელოვნების მოტივაციას, წარმატებული შემთხვევების განხილვა-გაზიარება საშუალებას აძლევს კოლეგებს არამხოლოდ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დაინახონ მათ წინაშე მდგარი პრობლემების ალტერნატივები, არამედ მოტივირდნენ პოზიტიური უკუკავშირითა და აღიარებით. სკოლას ყავს დიდი გამოცდილების მქონე კადრები, რომლებიც

უზიარებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს გამოცდილებას. სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოებისათვის წარმატებების გაზიარების და აღიარების უამრავი მაგალითი, როგორც პირისპირ ასევე სოციალური სივრცის მეშვეობით. წარმატების აღიარება მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თანამშრომელთა ხელშეკრულებები (მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები სტატუსების მიხედვით);
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
3. სკოლის შინაგანაწესი
4.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

   სკოლაში შექმნილია ,,მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი" რომლის დებულებაში მკაფიოდაა განსაზღვრული მასწავლებლის მხარდაჭერისა და შეფასების მექანიზმები. დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მოტივაციისათვის შემუშავებულია გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, შემდგომ განვითარებას. სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროების გამოვლენას და მხარდაჭერაზე ორიენტირებულ პროფესიულ განვითარებას (სავალდებულო ან ინტერსებზე მორგებული ტრეინინგები პედაგოგების და სკოლის ადმინისტრაციისათვის). სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასების მექანიზმი. მექანიზმი გამჭვირვალე მკაფიო და ნათელია, შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი პერსონალისათვის.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომლის მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით. განსაზღვრულია მიზნების მიღწევისათვის კონკრეტული ამოცანები. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, კერძოდ: ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს გაწეული მუშაობის შედეგებს, მასწავლებელს ინდივიდუალურად ეძლევათ უკუკავშირი და აქვთ შესაძლებლობა დაგეგმონ თავიანთი პროფესიული ზრდა საკუთარი პრიორიტეტებისა და საჭიროების მიხედვით. სკოლაში მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის პროცესების ეფექტურად წარმართვა. სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას და შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. თავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

კარიერული ზრდის პროცესი მნიშვნელოვანი საკითხია. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის და სხვა პერსონალისათვის პროფესიული საჭიროების განვითარების გზების შეთავაზებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

წახალისებულია სკოლაში მასწავლებელთა თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება. ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის მეშვეობით უზრუნველყოფილია საგაკვეთილო დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. მასწავლებლები პერიოდულად აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, ერთად პროფესიული განვითარების მიზნით ახდენენ განხორციელებული აქტივობების შედეგების განხილვას. საჭიროების შემთხვევაში იღებენ უკუკავშირს. მასწავლებლები საჭიროებებიდან გამომდინარე გადიან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებულ ტრეინინგ კურსებს. სკოლა პერსონალის კარიერული ზრდისათვის ხელმძღვანელობს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტით, რომლის მიზანია ადამიანური რესურსების მართვის პროცესების ეფექტიანად წარმართვა და პერსონალის კარიერული წინსვლისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას, რათა მათ შეძლონ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა და დაკისრებული ფუნქციების წარმატებით განხორციელება. ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია გათვალისწინებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტით. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულმა პირმა წარმატებით გაიაროს ადაპტაციის პროცესი და გახდეს სკოლის ღირსეული წევრი. ადაპტაციის განსაზღვრულ ეტაპებთან (მოლოდინები, შეხვედრა,) ერთად სკოლა თანამშრომლის (დირექტორი) მეშვეობით ეხმარება მათ გაეცნონ სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

პერსონალის წახალისება გამჭვირვალეა და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს, წახალისების ფორმები ასახულია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში: ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", ,,სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის შინაგანაწესი". თანამშრომელთა მოტივაცია მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის. სკოლა მხარს უჭერს თანამშრომელთა ინოვაციურ წამოწყებებს და იყენებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით წახალისების სხვადასხვა ფორმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
2. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი;
3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება მართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესებით. აღნიშნული პროცესები იდენტიფიცირებულია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში (შინაგანაწესი, კურიკულუმი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა) და

უზრუნველყოფენ მისიისა და სტრატეგიული გეგმების მიღწევას. ხდება საჭიროებებისა და რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლის გაანალიზების შედეგად დგება ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში (შინაგანაწესი, კურიკულუმი და სხვა) და აღნიშნული პროცესები სწორად წარიმართება და უზრუნველყოფენ სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული მიზნებისა და კურიკულუმის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ,,სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა", რომლის მიზანია თითოეულ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს სამართლიანი და გამჭვირვალე სამუშაო და სასწავლო გარემოსშექმანს, რომელიც შესაბამისობაში იქნება საგანმანათლებლო მისიასთან. საჩივრების ეფექტური სისტემის არსებობა სკოლის მართვის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და აღმოფხვრის ძირითადი მექანიზმია. სკოლა უზრუნველყოფს, რომ საჭირო პროცესები წარიმართოს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. დოკუმენტი საჯაროდ და ფართოდ ხელმისაწვდომია. იგი გამოქვეყნებულია სკოლის საიფორმაციო სტენდზე და ვებგვერდზეც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი რომელშიც მოცემულია სკოლის პრიორიტეტები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება და ვალდებულებები. სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის ურთიერთობათა პირობები, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციის და ტექპერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა", რაც ხელს უწყობს

სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვას, სასკოლო თემი ინფორმირებულია თავისი უფლებების შესახებ, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია პერსონალის, მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლასა და მშობელებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ყველა სამართლებრივი დოკუმენტი გაზიარებულია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
3. სკოლის შინაგანაწესი;
4. განცხადებისა და საჩივრის წარდგენის წესი;
5. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. უკუკავშირი ხდება ზეპირი კომუნიკაციით ან მასწავლებელთან/დამრიგებლებთან პირადი მიმოწერით. სკოლა აცნობიერებს, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღებოდეს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, ამიტომ სკოლაში მნიშვნელოვანი დოკუმენტების შედგენა ხდება ურთიერთთანამშრომლობის, უკუკავშირის საფუძველზე. .კომუნიკაციისა და უკუკავშირის მექანიზმებს წარმოადგენს საინფორმაციო დაფები, teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა chartali@mes.gov.ge, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები და მშობელთა კრებები, პერიოდული შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლაში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების წარმომადგენლობით (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო...). სკოლა უზრუნველყოფს თითოეული მხარის აქტიურ თანამონაწილეობას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სკოლა მუდმივად ცდილობს გააძლიეროს მშობლეთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე. მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევითა და სკოლისადმი კეთილგანწყობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). კონკრეტულად განსაზღვრული დღეების გარდა , მშობელი შეზღუდული არ არის ნებისმიერ დროს შეხვდეს დირექციას, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს მათთან შეთანხმებით. სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სკოლის კურიკულუმს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და უშუალოდ საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
2. მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგია;
3. კათედრის მუშაობის დებულება;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
5. პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
6. შინაგანაწესი;
7. თვითმმართველობის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით, შინაგანაწესით, პასუხისმგებლობის გადანაწილებით. ვინაიდან სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი (სულ 53 მოსწავლე), სკოლას არ ჰყავს მანდატური. თუმცა, სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს სკოლის დერეფნებში აკონტროლებენ წესრიგს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. მოსწავლის გაკვეთილიდან გათავისუფლება ხდება დირექციის თანხმობის შემთხვევაში. გათავისუფლებამდე ხდება მოსწავლის მშობელთან შეთანხმება. ასევე, ყურადღება ეთმობა მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზების დადგენას. ყოველდღიურად, სწავლის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებელი ადგენს მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზს. სკოლას აგრეთვე დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და აღნიშნული გეგმა წარდგენილი აქვს **საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შესათანხმებლად**. ასევე, სკოლამ უკვე **მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისათვის**. აგრეთვე, სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის** მომზადებასთან დაკავშირებით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, 2027 წლის 13 მარტამდე, უზრუნველყოს:

ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება ორივე შენობისთვის (მდგრადობა);

ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან ორივე შენობისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი. მოსწავლეთა პირველადი დახმარება ხორციელდება ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების

სამედიცინო პერსონალის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის N41ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. სკოლას ემსახურება კვალიფიციური ექიმი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

   სკოლაში დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით.'' შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა, დისციპლინური წარმოების ფარგლებში, ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, თუმცა მნიშვნელოვანია ასევე, სკოლის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები. პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე, პრევენციის მიზნით სკოლის დირექციის ინიციატივით და კლასის დამრიგებლების და მშობლების ჩართულობით იმართება შეხვედრები, რათა გამოიკვეთოს შესაძლო პრობლემები და საჭიროებები. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებსა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზებს. მიღებული ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და სხვა. ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. დარღვევების პრევენციის მიზნით ეფექტურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები. სკოლაში ხორციელდება ურთიერთპატივისცემაძე დაფუძნებული პოზიტიური დისციპლინირების პოლიტიკა, რაც განაპირობებს დარღვევების შემცირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

   სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, მოსწავლეების ფსიქოემოციური საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება მათზე დაკვირვებით, მშობლებთან გასაუბრებით. მოსწავლეების ფიზიკურ და ემოციურ

უსაფრთხოებაზე ზრუნავს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მზად არიან დაეხმარონ მოსწავლესა თუ მასწავლებელს. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა) სკოლაში შექმნილი ნდობაზე დაფუძნებული გუნდური და მიმღებლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლაში მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით ტარდება ღონისძიებები და ექსკურსიები. დამრიგებლები მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენის მიზნით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში ატარებენ სხვადასხვა აქტივობებს (საუბრები სხვადასხვა საკითხებზე, დისკუსია, პრეზენტაცია და ასე შემდეგ).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე ზრუნავენ დამლაგებლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დავის მექანიზმის შესაბამისად. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას მონიტორინგს უწევს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და სკოლის ექიმი. სკოლა წყლით მარაგდება ცენტრალიზებულად. სველი წერტილები მოწყობილია სკოლის ორივე სართულზე და აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და საშუალებებით. მოწყობილია ვენტილაციის სისტემა. სკოლის ბიუჯეტით შესაბამის მუხლებში განსაზღვრულია თანხები სისუფთავის დაცვისათვის საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პროდუქციის შესაძენად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა იცავს, როგორც მოსწავლეების და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, ასევე სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების, ადმინისტრაციულ/ტექნიკური პერსონალის პერსონალურ მონაცემებს. შემუშავებულია და ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალურ მონაცემთა მიმღებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა მუშაობის პერიოდში იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტ კავშირს. კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამა და გამოყენებულია ლიცენზირებული პროგრამები, მუდმივად ხდება მათი განახლება. გარკვეულ საიტებზე წვდომა შეუძლებელია. მასწავლებლები სარგებლობენ ელექტრონული ფოსტით www.teachers.gov.ge მოსწავლეები კი www.students.gov.ge, რომლებიც ინდივიდუალური მონაცემებით სარგებლობენ. საქმისწარმოებისათვის გამოიყენება სკოლის Email: chartali@mes.gov.ge და სკოლის ელექტრონული სისტემა www.efloow.emis.ge სკოლას შემუშავებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკ"-ის დოკუმენტი. პერსონალური ინფორმაცია განთავსებულია www.eschool.emis.ge ბაზაში და მონაცემთა დამუშავება/შენახვაზე პასუხისმგებელია დირექტორი სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სკოლის პორტალზე გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, მრჩეველთა საბჭო იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს დირექტორის ანგარიშს. სკოლამ შეიმუშავა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტი, სკოლა პერიოდულად შეაფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. აღნიშნულ პროცესს ექნება სისტემატური ხასიათი და მყისიერად მოხდება რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
3. სანიტარულ -ჰიგიენური დაცვის წესი

4. მიმართვა საგანგებო გეგმის შეთანხმების შესახებ.
5. წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების შესათანხმებლად.
6. მიმართვის წერილი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს
7.ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
8.უსაფრთხოების პოლიტიკა;

9.შინაგანაწესი;
10.სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
11.დამრიგებლის მუშაობის დებულება;
12.პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
13.მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ ჭართალში. სკოლა განთავსებულია 3258 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე, საერთო სასარგებლო ფართით 437 კვ. მ. სკოლა სარგებლობს ერთ ეზოში მდებარე 2 შენობა-ნაგებობით. სკოლაში არის 13 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, ინდივიდუალური მერხებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. ასევე, საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად.
გარდა აღნიშნულისა, სკოლის კორპუსში არის დირექციის, კანცელარიის ოთახები, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. თითოეული ოთახი აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. კერძოდ, სამასწავლებლოში განთავსებულია მაგიდები, სკამები, კარადები. სკოლას აქვს 2 პიანინო რომლის გამოყენება ხდება სხვადასხვა ღონისძიებების დროს. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლის საკუთრებაშია ჯამში 15 კომპიუტერი, 2 ლეპტოპი, რომელთა დიდი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი დირქციისა და კანცელარიის ოთახებში. სკოლას აქვს ჯამში - 4 პრინტერი/ქსეროქსი, 2 პროექტორი. სკოლა ფლობს სპორტულ ინვენტარს: ფეხბურთის, კალათბურთის ბურთები, სახტუნაო, კალათბურთის ფარი, ფრენბურთის ბადე და სხვა. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლაში დაცულია 3000-ზე მეტი ერთეული წიგნადი ფონდი.

სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.
სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც განთავსებულია სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა, მულაჟები და სასწავლო რესურსები, რაც ხელს უწყობს საგნის სწავლების ვიზუალურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას. თუმცა, კაბინეტში არ არის დამონტაჟებული გამწოვი სისტემა და სველი წერტილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

   სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისათვის კომფორტული აკადემიური სივრცის მოწყობას. საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, კაბინეტები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, ასევე რეკრეაციული სივრცეები-დერეფანი და ეზო თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია

სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების განრიგი და შესაბამისად სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებლებს შეუძლიათ საბუნებისმეტყველო, კომპიუტერეული მეცნიერებების, ლაბორატორია , სპორტდარბაზი და სხვა) აღნიშნული სივრცეებით სარგებლობა. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცდა სკოლის ბიბლიოთეკით და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები, რომელთა მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. სკოლის ნებიემიერ წევრს შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკით და მასში განთავსებული წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღიურად 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც დაინტერესებულ პირებს ეხმარება მათთვის საინტერესო რესურსების შერჩევაში. გარდა ამისა, სკოლას აქვს დახურული და ღია სპორტული მოედანი. სკოლაში ტარდება საინტერესო სპორტის გაკვეთილები, ეწყობა შეჯიბრებები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიაც. სკოლის მატერიალუ-ტექნიკური ბაზა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში მოწყობილია საჭირო ინვენტარითა და კომპიუტერული ქსელით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია შესაბამისი სივრცე მომხმარებლებისათვის საბიბლიოთეკო სერვისით ადგილზე სარგებლობისათვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება მხატვრული, ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოებისაგან. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", რომელიც ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოქვეყნებული. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის თანამშრომელთა განვითარებას, სხვადასხვა ლიტერატურითა და ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფის გზით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა მორგებული იყოს სკოლაში მყოფი თითოეული მოსწავლისათვის. ისინი შეუზღუდავად სარგებლობენ სკოლის მატერიალური ბაზით. გარდა ამისა, სკოლა ცდილობს სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნას კომფორტული სასწავლო გარემო და უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების მიღების შესაძლებლობა. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, სკოლის ორივე შენობის შესასვლელში არის პანდუსი, თუმცა მოსწავლის მეორე სართულზე გადასაადგილებლად სკოლას არ აქვს შიდა პანდუსი. სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციისთვის სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, ხოლო სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში სრულყოფილად არ არის შექმნილი ადაპტირებული გარემო.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმის გეგმის მიხედვით 2027 წლის 13 მარტამდე უზრუნველყოს სკოლაში ადაპტირებული გარემოს შექმნა, შიდა პანდუსების მოწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა მოსწავლეებს აძლევთ შესაძლებლობას სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული, და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა თუ თემის სხვა თანატოლ წარმომადგენლებთან. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კერძოდ სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, უზრუნველყოფილია ინტერნეტითა და კომპიუტერული ტექნიკით, სასწავლო რესურსით სასკოლო საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას შეიკრიბონ საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, შეძლონ ჯგუფური და გუნდური მუშაობა, განივითარონ შემოქმედებითი უნარები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ბიბლიოთეკის დებულება;
3. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
4. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

5. მოსწავლეთა მედიაციის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობის სრულყოფილად წარმართვისთვის სკოლა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით, რომელიც პროგრამულად გამართულია. სკოლის ინტერნეტიზაცია ხელს უწყობს: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც სასწავლო პროცესს უფრო მდიდარს, მრავალფეროვანს და დინამიურს ხდის. ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, უვითარებს მათ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და შეფასების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს. ხელს უწყობს პედაგოგებს შორის (სამასწავლებლოში განთავსებულია კომპიუტერები, პრინტერი) ინფორმაციისა და მასალების გაცვლას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების სრულფასოვნად წარმართვას. სკოლა ფლობს ჯამში 15კომპიუტერს, 2 ლეპტოპს, რომელთა დიდი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი დირექციისა და კანცელარიის ოთახებში. სკოლას აქვს 4 პრინტერი/ქსეროქსი, 2 პროექტორი. მასწავლებლები მათთვის გადაცემული ლეპტოპებით სარგებლობენ სასწავლო პროცესში. კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის მეშვეობითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს თავისი შვილის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია.

სკოლის კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან გამოყოფილი სპეციალისტი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, სასწავლო და სამუშაო პერიოდში სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, შესაძლებელია ინტერნეტით (საკაბელო, უკაბელო Wi-Fi) თავისუფალი წვდომა სკოლის მთელ სივრცეში. მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის შექმნილია კომპიუტერებით უზრუნველყოფილი სამუშაო სივრცეები, რომელიც ურთიერთთანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემოს შენებას უწყობს ხელს. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობით წესი", ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურული გამართულობისათვის მუდმივად ზრუნავენ: დირექცია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები, ასევე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის IT სპეციალისტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

2.მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და მისი დამტკიცების ბრძანება

3. სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება აღნიშნული წესის დაცვით. საქმისწარმოების წესით განისაზღვრება: საქმისწარმოების ორგანიზების სისტემა, განცხადებებზე, წერილებსა და დოკუმენტაციებზე მუშაობის წესი. საქმისწარმოების წესი აზუსტებს გასული და შემოსული დოკუმენტების რეგისტრირების, დოკუმენტების შედგენის, ხელშეკრულებების აღრიცხვის, მოსწავლეებისა და პერსონალის პირადი საქმეების და სხვა საჭირო წესებს. დოკუმენტაციის აღრიცხვა ხდება როგორც ელექტრონულად (www.efloow.emis.ge), ასევე აღრიცხვის ჟურნალებში, რომლებიც არის აკინძული, დანომრილი, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლიგიები, კერძოდ, შიდა და გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა www.efloow.emis.ge, ასევე ელექტრონულ ფოსტა chartali@mes.gov.ge. პედაგოგებისათვის კი www.teachers.gov.ge

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში www.efloow.emis.ge, სადაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის ვადებში სრულყოფილად აისახება სხვადასხვა ინფორმაცია, კერძოდ, სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების განახლებული მონაცემები; პირველკლასელთა რიცხოვნობის განსაზღვრა; საგაკვეთილო განრიგი; საშტატო ნუსხა, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა პერსონალი მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

   სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. სკოლას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომლის დაცვითაც უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე წარუდგენს საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, ანგარიში ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეში; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარედგინება წლიური ბალანსი და ,,სსსმ მოსწავლეების იდენტიფიკაციის წესების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, შიდა მონიტორინგის დასკვნა; სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე წარედგინება სკოლის დირექტორის წლიური ანგარიში სასწავლო პროცესის წარმართვისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ა.შ

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმის წარმოების წესი

საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის პორტალის **https://skolebemis.ge** და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით: ელექტრონულ ფოსტა chartali@mes.gov.ge; პედაგოგებისათვის www.teachers.gov.ge teams პლატფორმა, ინფორმაციული შეხვედრები როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ პლატფორმებით და სხვა. სკოლის პორტალი იძლევა სკოლასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. პორტალზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და ა.შ. გარდა ამისა სკლას აქვს გვერდი სოციალურ სივრცეში, შიდა საკომუნიკაციო ჯგუფები, რომლის გამოყებით ხდება ინფორმაციის მიწოდება და გაცვლა.

სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი (FACEBOOK), სადაც პერიოდულად, თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტები, კონკურსები, ინტელექტუალური შეჯიბრებები, ოლიმპიადები და სხვა) შესახებ ინფორმაცია. ასევე, ნებისმიერი სხვა სიახლე, რაც საინტერესოა და საჭიროა სასკოლო საზოგადოებისათვის. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც ხედავენ შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. სოციალური ქსელის მართვას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ სივრცეში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე. სკოლას ასევე, დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საქმიანობის, მათ შორის სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე https://skolebi.emis.ge და სოციალურ ქსელში. სკოლა აცნობიერებს და იღებს პასუხისმგებლობას ვებგვერდსა და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციასა თუ ადმინისტრატორის სახელით გამოხატულ პოზიციაზე. ვებგვერდზე სანდო და უტყუარი ინფორმაციის განთავსებაზე ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (დირექტორი).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კომუნიკაციისათვის გამოიყენება სკოლის პორტალი **https://skolebi.emis.ge** და სხვა საკომუნიკაციო არხები: ელექტრონულ ფოსტა chartali@mes.gov.ge; პედაგოგებისათვის www.teachers.gov.ge); teams პლატფორმა; კითხვარები; ინფორმაციული შეხვედრები როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ პლატფორმებით და სხვა; ინფორმაციის ანალიზის

შედეგები მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით გაითვალისწინება სკოლის საქმიანობის თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი **https://skolebi.emis.ge** რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი **https://skolebi.emis.ge** შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდზე სკოლა უწყვეტ რეჟიმში განაახლებს ინფორმაციებს მიმდინარე და დაგეგმილი სიახლეების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ-გვერდი;

2. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
3. მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
4. ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სკოლის ფინანსური რესურსის განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ვაუჩერი, მასწავლებლების სერტიფიცირების დანამატი, სსსმ მოსწავლეების დაფინანსება და ა.შ), მომდევნო წლის ბიუჯეტი იგეგმება წინა წლის 10 დეკემბრამდე . საჭიროების შემთხვევაში, წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით ხდება ბიუჯეტის კორექტირება, რომელიც ასევე მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის თანხების ხარჯვა ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და სასწავლო წლის განმავლობაში გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. სკოლის მიერ შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება ხდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვების წესის“ მიხედვით, შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე. შესყიდვების გეგმის დამტკიცება ხდება ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, რასაც წინ უძღვის შესყიდვების დაგეგმვა და ბაზრის კვლევა. ბრძანებით განსაზღვრულია ბაზრის კვლევასა და შესყიდვების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. დამტკიცებული გეგმა იტვირთება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში, საჭიროების შემთხვევაში დირექტორის ბრძანების საფუძვლზე, ვახდენთ შესყიდვების გეგმის კორექტირება. საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება წინასწარი პროცედურების გათვალისწინებით, ხელშეკრულებისა და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომლებიც დასტურდება ელექტრონული ხელმოწერებით. სავალდებულო დოკუმენტები იტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში CMR მოდულში. შესყიდვების, ასევე სხვა სახის ფინანსური დოკუმენტები ინახება მატერიალური სახითაც სკოლის ბუღალტერიაში; ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და ფორმით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარედგინება წლიური ბალანსი. ბალანსის წარდგენამდე ხორციელდება სკოლაში არსებული ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების ინვენტარიზაცია. დირექტორის მიერ შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ხდება ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების აღწერა, შედეგები გადაეცემა ბუღალტერიას. ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა აისახება ბალანსში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

შესყიდვების წესი

ინვენტარიზაციის ბრძანება

დირექტორის ანგარიში (10 დეკემბრის)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო;
- სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;
- განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით“.
სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის

უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.
სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეტესო ინერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია.
მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, ან თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზია არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვა, სკოლა მოქმედებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.
სკოლამ ასევე წარმოადგინა სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის რეგულაციები, მოსწავლე სარგებლობს ყველა პირობით, რაც დადგენილია კანონით - სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციებით.
სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა უფლებები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო. დამრიგებლები ყოველდღიურად ემსახურებიან სკოლაში უსაფრთხოების სრულ პრევენციას. შემუშავებულია ქცევის წესები. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ როგორც სასწავლო პროცესში, ასევე სკოლაში გადაწყვეტილებების მიღებაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და ა.შ) კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს სასკოლო ჩართულობასა და თანამონაწილეობას. „მოსწავლეების უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტი“ განსაზღვრავს და წარმოადგენს იმ წესებისა და პირობების ერთობლიობას, რომელთა გათვალისწინებით ხდება მოსწავლეების უფლებების დაცვა, მათ შორის მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სკოლის მართვაში მონაწილეობა, გასაჩივრების უფლება, საკუთარი უფლებების ცოდნა და ა.შ

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესით. შინაგანაწესის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია დამრიგებელი. ის სასწავლო

წლის დასაწყისშივე კრებაზე აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ გაცნობის ფაქტს ხელმოწერით. შესაბამისი ოქმები სადამრიგებლო პორტფოლიოში ინახება.

სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რაც აქტიურია და განთავსებულია სკოლაში მიმდინარე აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, განცხადებები და სხვა. სკოლის პორტალზე გამოქვეყნებულია „კანონიერი უფლებების დაცვის“, „პერსონალური მონაცემების დაცვის“, „მოსწავლეთა ჩარიცხვის“, „განცხადებისა და საჩივირს განხილვის“ წესები, სკოლის შინაგანაწესი.

მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულების ნიმუში, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. აგრეთვე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა მშობელთან დადებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანხმობას მოსწავლეთა სასკოლო თუ არასასკოლო აქტივობებში (მაგ. გაკვეთილები, ექსკურსიები, კონკურსები, პროექტები, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები, გასვლითი შეკრებები და ა.შ.) გადაღებული ფოტოს, ვიდეოს და აუდიო ჩანაწერების სოციალურ ქსელში, საჭიროებისამებრ განთავსებაზე. ხელშეკრულება ასახავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მოსწავლის უფლებებსა და მოვალეობებს, ინფორმაციას პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტას, მხარეთა რეკვიზიტებს. ხელშეკრულებაში გაწერილი პირობები სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით ცვლილებების განხორციელება, მოსწავლის საუკეთესო ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შინაგანაწესი
სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
მშობელთან ურთიერთობის წესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა;
შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში. „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ განსაზღვრავს მოსწავლის

ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამის მექანიზმებს. დოკუმენტი ვებგვერდის მეშვეობით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის; საფეხურის დაძლევის წესს განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5“-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დასაცავად ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესით“. სკოლის სიმძლავრის, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით ბრძანებით განსაზღვრება პირველკლასელთა რიცხოვნობა. ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს. სკოლა ყოველთვის იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, განთავსებულია ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.
სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს მეორე უცხოურ ენას ასარჩევად. რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე კლასის ბოლო მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით.
სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროგრამები (საგნობრივი კურიკულუმები), რის შესახებაც კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს.
დამრიგებლების მეშვეობით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის მშობლებისა და მოსწავლეებისათვის მიწოდებას სკოლაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესის შესახებ. 2025-2026 სასწავლო წელს, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ ფრენბურთისა და ფეხბურთის წრეებს. მომავალში სკოლას სურვილი აქვს უფრო მეტი და მრავალფეროვანი წრე შესთავაზოს მოსწავლეებს და ამით ხელი შეუწყოს მათი შესაძლებლობების აღმოჩენასა და რეალიზაციას, ამისათვის, მნიშვნელოვანია მათი სურვილი და აქტიურობაც. სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე.
სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს, მათ მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს წარუდგენს სათანადო წესით დამტკიცებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, მზაობას მოსწავლეების მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე. პირველკლასელებს სასწავლო პროცესის დაწყებამდე სთავაზობს სკოლის დათვალიერებას, რათა სწავლის დაწყებისას მათთვის უცხო არ იყოს სასკოლო გარემო და სასწავლო სივრცეები. ტრანსპორტით მოსარგებლე მოსწავლეებს აცნობს ტრანსპორტით სარგებლობის წესებს. ბრძანებით განსაზღვრავს ტრანსპორტის მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ზრუნავს მოსწავლეების უსაფრთხოებაზე და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას, ამისათვის სკოლას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა, სადაც

მშობლები საკუთარ თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერებით. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში, ზიარდება სოციალურ გვერდზე. სკოლის ან სკოლის პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ სრულად არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. მაგ. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები პირველივე მშობელთა კრებაზე მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში არსებული ქორეოგრაფიული და სამუსიკო სტუდიების შესახებ. აცნობენ მათი მომსახურების პირობებს, პედაგოგებსა და გასული სასწავლო წლის მიღწევებს. დირექცია რესურსცენტრიდან მოწოდებულ ინფორმაციებს მუდმივ რეჟიმში აცნობს სასკოლო საზოგადოების წევრებს (ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დამრიგებლის მუშაობის დებულება

მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

დამრიგებლის სამოქმედო პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და მოიკვლევს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. სკოლის პირველი კლასის დამრიგებელი მუდმივად თანამშრომლობს თემში არსებულ საბავშო ბაღებთან, აგროვებს ინფორმაციას პოტენციურ პირველკლასელთა შესახებ, აცნობს მშობლებსა და ბავშვებს სკოლის სტრუქტურას, ეპატიჟება სასკოლო ღონისძიებებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ტრანზიციას. სკოლა სრულ მზაობას გამოხატავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისა და საფეხურებრივ ტრანზიცირების წარმატებით განხორციელებისთვის, სკოლა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა პროფესიულ და სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები აერთიანებს სკოლის მიერ მოსწავლის სასკოლო გარემოს ხელშეწყობის, კარიერის დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერას, სსსმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პირველკლასელთა მიღებას და მათი ადაპტაციის მხარდაჭერის აქტივობების განხორციელებას. პირველკლასელების ტრანზაქცია ასახულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წეს“-ში. აღნიშნული წესი ასევე განსაზღვრავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პირობებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციას, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეების ადაპტაციას. მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკისა და განვითარების შესაბამისი ავეჯის, საკლასო გარემოსა და სივრცის უზრუნველყოფას. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციის წესის გაცნობას დაინტერესებული პირებისათვის. საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს განუმარტავს მოსწავლეთა ადაპტაციის პირობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, მაგალითად, როდესაც მოსწავლე სხვა სკოლიდან გადმოდის, მოსწავლეებს აცნობენ სკოლის სპეციფიკას, სოფლის ისტორიას და ტრადიციებს. სკოლაში არსებული პოზიტიური და უსაფრთხო გარემო უადვილებს მოსწავლეს სასკოლო საზოგადოების წევრობას პირველივე დღიდანვე. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, მოსწავლეების სასწავლო გარემოს ადაპტაციის ხელშეწყობისთვის სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკისა და განვითარების შესაბამისი ავეჯის, საკლასო გარემოსა და სივრცის უზრუნველყოფას. სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს, სასწავლო პროცესი ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისათვის გასათვალისწინებელი ფაქტორებია: მოსწავლის ინდივიდუალური ხასიათი, მისი თვისებები, უფროსი და-ძმის გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დამრიგებლის როლი იმ მოსწავლეებთან რომელთაც გააჩნიათ ენობრივი ბარიერი ან კულტურული განსხვავებულობა, მშობლის ფაქტორი, საორიენტაციო ვიზიტი - სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველ დღეს დამრიგებლის მეშვეობით სასკოლო გარემოს დათვალიერება-გაცნობა. სსსმ მოსწავლეების ადაპტაციაში კლასის დამრიგებლებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ სპეციალურ მასწავლებლებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციას. სსსმ მოსწავლეებს მშობლებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია თუ რა დამხმარე სერვისებია სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. საბავშვო ბაღებში ეწყობა ვიზიტები და მოსწავლეთა მონაწილეობით ღონიძიებების გამართვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შეცდომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები შემოქმედებითი, კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავების ეტაპებზე იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლებების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა.

სკოლა აქტიურად ზრუნავს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც მოსწავლეები სისტემატურად იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. მოსწავლეები, მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები დამრიგებლების მეშვეობით

ეცნობიან ინფორმაციას მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით). მოსწავლეები პედაგოგებისაგან რეგულარულად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, კლასის კრებებზე, მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გაანათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას. ასევე, მოსწავლეები და მათ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები საჭიროების შემთხვევაში იღებენ ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ.
სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სრულად უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში სკოლა იყენებს შინ სწავლების ფორმას. სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ნებისმიერი კლასის, პირველკლასელების რეგისტრაციის, მობილობის, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარებისა და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ და ა.შ. დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია, გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკიციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. დაგეგმილია აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას. სკოლა ამჟამად მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ ფეხბურთსა და ფრენბურთის წრეებს დამატებით მომსახურებას სახით. თითოეულ წრეს სათავეში უდგას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. სკოლას სურვილი აქვს ამ მიმართულებით გააძლიეროს მუშაობა. მეტი საინტერესო აქტივობა და წრე შესთავაზონ ახალგაზრდებს, რათა შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა.
გარდა აღნიშნულისა, სკოლა უზრუნველყოფს სხვა არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, შეჯიბრებები, მხიარული სტარტები, ზეიმები, ინტელექტუალური თამაშები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და მათი მშობლების უკუკავშირები. ძირითადად იყენებენ ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებს "კლასის საათის", მშობელთა კრებების ფარგლებში, სკოლის მოსწავლეთა რიცხოვნობის გათვალისწინებით.

მოსწავლეების/დაინტერესებული პირების უკუკავშირის საფუძველზე სკოლა მეტწილად აუმჯობესებს მოსწავლეების მომსახურებას, სკოლას ზეპირსიტყვიერად და კითხვარებით აქვს მიღებული ინფორმაცია მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისაგან თუ რამდენად კმაყოფილი არიან სკოლის მიერ მიწოდებული სერვისებით. სკოლა სამომავლოდ შეაგროვებს მონაცემებს გაწეული მომსახურეობის შესახებ მოსწავლეების გამოკითხვის, ანკეტირების, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. მიღებული მონაცემები გაანალიზდება და გათვალიწინებული იქნება სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

დამრიგებლის მუშაობის დებულება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან. პროფესიული ორიენტაციის მიზნით დაგეგმილია აქტივობები სადამრიგებლო საათზე, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე, სხვადასხვა საგნობრივ პროგრამებში, რაც ერთერთი გამჭოლი პრიორიტეტია სასკოლო კურიკულუმებში. სკოლა ხელს უწყობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომობას. კარიერული მიზნები განისაზღვრება მოსწავლეების ინდივიდუალური უნარებითა და ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური და პიროვნული შესაძლებლობების აღმოჩენასა და შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ეწყობა სასწავლო ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს რესურსცენტრიდან მიღებულ ინფორმაციებს კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების თაობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლა აწყობს ექსკურსიებს პროფესიული ორიენტაციის გაცნობის მიზნით, ამავდროულად, იცავს და ითვალისწინებს საკანონმდებლო რეგულაციებს სასკოლო ექსკურსიასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში მეტწილად ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლა მოსწავლეებისგან უკუკავშირს იღებს ზეპირსიტყვიერად, მომავალ პროფესიებზე საუბრები დაწყებითი კლასებიდანვე ხორციელდება და ამასთან დაკავშირებით არაერთი პროექტია განხორციელებული, თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს პროფორიენტაციის კუთხით კვლევის წარმოებას. ჩაატარებს გამოკითხვას და დაადგენს რამდენად ეხმარება სკოლა მოსწავლეს პროფორიენტაციაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კითხვარი პროფორიენტაციის

სკოლის კურიკულუმი - პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

დამრიგებლის პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. მექანიზმი მკაფიოდ განსაზღვრას სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესებს. ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებდეს მონიტორინგს, შემუშავებული შიდა პროცედურის შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე მათი ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე მშობლების პრიორიტეტის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

მოსწავლეთა პედაგოგები ქმნიან კეთილგანწყობილ გარემოს მოსწავლეებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირების საფუძველზე . სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები. მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ მოსწავლეებთან რესურს ოთახში. ინდივიდუალურად ეხმარებიან სსსმ მოსწავლეთა სასწავლო მიზნების განსაზღვრასა და რესურსების შექმნაში. სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა კეთილგანწყობილი, ადაპტირებული გარემოს შექმნასა და სასწავლო რესურსებით და შესაბამისი ავეჯით რესურს ოთახის აღჭურვაზე. სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე დიდ მხარდაჭერას გრძნობს სასკოლო საზოგადოებისგან. ამ შედეგის მისაღწევად სკოლა პირველ რიგში ცდილობს იმუშაოს მოსწავლეების, მასწავლებლების, თანამშრომლების, მშობლების ცნობიერების ამაღლებაზე. სკოლა მუდმივად აღნიშნავს ისეთ მნიშვნელოვან თარიღებს როგორიცაა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე და სხვა.
სკოლა სსსმ მოსწავლეებისათვის ქმნის ინდივიდუალურ სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ შეიმუშავებენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ისგ ჯგუფის წევრები - საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი, მშობელი აქტიურად არიან ჩართულნი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევაში. ისინი მუშაობენ კოორდინირებულად, შეიმუშავებენ ჯგუფის შეხვედრის კალენდარს, სახავენ გრძელვადიან მიზნებს და საბოლოოდ აკეთებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სემესტრის განმავლობაში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეჯამებას. წლის განმავლობაში იკრიბებიან მინიმუმ 4-ჯერ, განიხილავენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, მოდიფიცირებისა თუ სწავლების საკითხებს, მოსწავლის პროგრეს და სხვა. სკოლა მშობელს, ზეპირი კომუნიკაციის გზით, მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის პროგრესსა და მიღწევებზე. გარდა აღნიშნულისა, სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები უწევენ სსსმ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წამომადგენელს კონსულტირებას და რეკომენდაციებს, სასწავლო წლის დასაწყისში და სწავლების პროცესში ინდივიდუალურად, საჭიროებისამებრ აწყობენ საგნის მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრებს - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნასა და განხორციელებასთან დაკავშირებით. ამჟამად, სკოლაში სწავლობს 2 სსსმ მოსწავლე. სკოლის მასწავლებლების ძალისხმევით და აქტიური მუშაობით კლასებში, რომელშიც სსსმ მოსწავლეა, შექმნილია მეგობრული, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემო. სწავლება კი მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომით.

სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციისთვის სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

ამ ეტაპზე სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია სპეცმასწავლებლის პოზიციაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
2. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლაში მოქმედებს სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა. პროგრამის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება ოთხი მიმართულებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საკოლო ტრანსპორტის სწორად ფუნქციონირებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ტრანსპორტის მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, ამოწმებს ტრანსპორტის სისუფთავეს, შესრულებულ რეისებს და ამოწმებს მანქანის გამართულობის დოკუმენტაციას.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს არასავალდებულო დამატებითი ხასიათის მომსახურებას. სკოლის მიერ ამ ეტაპზე მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია მხოლოდ ფრენბურთისა და ფეხბურთის წრეები დამატებითი მომსახურების სახით. სამომავლოდ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიწოდების მიზნით, მოხდება წრეების გამრავალფეროვნება და შეთავაზება მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, მშობლის მოთხოვნის საფუძველზე. მშობლებს შეუძლიათ მოთხოვნა დააფიქსირონ კლასის დამრიგებლებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მშობლებისა და მოსწავლეების სურვილების სკოლის დირექციამდე მიტანას. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად მზადაა მშობლებთან კომუნიკაციისთვის და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ პირდაპირ დირექციას თუ მათ სურთ კონკრეტული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიღება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს არასავალდებულო დამატებითი ხასიათის მომსახურებას. სამომავლოდ, სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებული იქნება უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, ასევე, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილი იქნება სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პორცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი. ასევე გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება დაიცვას უსაფრთხოების წესები

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტარანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

სატრანსპორტო ტაბელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ამიტომ, გამოხატავს მის ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს და პრირიორიტეტებს. სკოლას აქვს პრაქტიკა, კურიკულუმი შექმნას წინა წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე და ამავე დროს, გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები: კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, შეფასების ინსტრუმენტები და სხვა. საჯარო სკოლამ კურიკულუმზე მუშაობა დაიწყო კურიკულუმის ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. კათედრის შეხვედრებზე განხილვის საგანი იყო გამოწვევები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პარადიგმის უკეთ რეალიზებაში დაეხმარებოდა პედაგოგებს. სკოლამ შეძლო სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე და სასწავლო პროცესი დააკავშირა კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებთან.კათედრებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას არა მარტო მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, არამედ სრულიად სასკოლო საზოგადოება არის ჩართული ამ პროცესში

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის თანამშრომლობითი კულტურა და პოზიტიური სასწავლო გარემო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში და მათი ინტერესების კურიკულუმში ასახვას. სასკოლო

საზოგადოების თანამშრომლობითი კულტურა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა სკოლის დირექციის ზრუნვის საგანია. სწორედ ამაზე მეტყველებს ერთის მხრივ, „კმაყოფილების კვლევის“ შედეგები და მეორეს მხრივ, სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას სასკოლო საზოგადოება თამამად საუბრობდა სასკოლო ცხოვრებასა და სასკოლო კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობის შესახებ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის ხედვაა -- სკოლა ჩამოყალიბდეს თანამედროვე, განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცედ, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას, თანამშრომლობასა და ლიდერული უნარების განვითარებას. ამავე დროს, სკოლას სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიაში აღნიშნული აქვს, რომ სკოლა დაგეგმვისას იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს: თანამონაწილეობას, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, გამჭვირვალეობას და ანგარიშვალდებულებას. სწორედ ამიტომ, სასკოლო კურიკულუმის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, რაც გამოიკვეთა მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან გასაუბრებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გაზიარებული და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სურიკულუმში ასახული შემოქმედებითი დავალებები, დაგეგმილი აქტივობები განხილვის საგანია მშობელთა კრებებსა და პირად საუბრებში. წლის დასაწყისში მასწავლებლები მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ არა მარტო საგნობრივ კურიკულუმებში ასახულ შემოქმედებით დავალებებს, არამედ შეფასების კრიტერიუმებსა და დაგეგმილ აქტივობებს. სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სოციალური ქსელების დახურულ ჯგუფებს და ჩათებს, პირად კონტაქტებს, მშობელთა კრებებს და სხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
სკოლია მისია,ხედვა ღირებულებები
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა სამივე საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმები , სადაც იკვეთება,რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორენტირებს. შუალედური სასწავლო მიზნების დამუშავება ხორციელდება კომპლექსური დავალებების საშუალებით.მოსწავლეებისთვის შეთავაზებული შესაქმნელი პროდუტები,აქტივობები და გამოყენებული რესურსები არის მრავალფეროვანი და მამოტივირებელი. გამოყენებულია კვლევითი დავალებები, მოდელირება და სხვა აქტიური სწავლების მეთოდები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. **რჩევა:** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე, ქიმიის კურიკულუმში საკითხების დამუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს მოსწავლეზე ორიენტირებული და შემოქმედებითი დავალებებს,ფიზიკის კურიკულუმის მსგავსად. დაწყებით საფეხურზე ბუნებისა და საბაზო-საშუალო საფეხურზე ბიოლოგიის მიმართულებით საკითხების დამუშავება სხვადასხვა შემოქმედებითი და მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებების გამოყენებით განხორციელდეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ინეტრვიუს პროცესში საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი მასწავლებლების მიერ აღწერილ სწავლა - სწავლების პროცესში, ჩანს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, თითოეულ საგანში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებში მოცემული გრძელვადიანი მიზნების მიღწევის აუცილებლობა, შესაბამისი თემების, საკითხების, ქვესაკითხების სიღრმისეული დამუშავების, ჰოლისტური შეფასების (შეასბამისი განმავიტარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით) მრავალფეროვანი დაველებების და მულტიმედია რესურსების გამოყენების გზით. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ შემოქმედებითი დავალებებით სწავლება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურის ყველა კლასისათვის. შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები.. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში პედაგოგებს გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა</u>** : სასურველია უცხოური ენების კათედრა შეთანხმდეს საგნობრივი კურიკულუმის ერთიან ფორმაზე სამივე საფეხურზე. დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება და ძირითადი საკითხი სამივე საფეხურზე.

ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურზე, მტკიცებულებებით წარმოდგენილ (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად, რაც თ თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კათედრამ წარმოადგინა ყველა კლასის სასწავლო წლის განმავლობაში გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო. შემუშავებული კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებას. გათვალისწინებულია სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები, შუალედური მიზნები, რომლებშიც შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად განისაზღვრება მოსწავლეების ინტერესები, მზაობა და შესაძლებლობები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი უფრო მეტად რომ იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, სასწავლო წლის დასაწყისში წინა წლის კურიკულუმის ანალიზს აკეთებენ და საჭიროების მიხედვით ცვლილებები შეაქვთ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სახელმწიფო ენის კათედრაზე **სამივე საფეხურისათვის** სასურველია: შემუშავებული იყოს კურიკულუმის ერთნაირი ჩარჩო; კურიკულუმს თავში მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა(ორივე); კურიკულუმებში ყველა გრაფა შეივსოს. საკითხი და შემოქმედებითი დავალების იდეა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. კონტექსტ მაგალითში ჩაიწეროს რესურსის/ტექსტის მხოლოდ სათაურები. რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური. შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა. მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში, თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში.

მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმისა და მათემატიკის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად და ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მკაფიოდ იკვეთება ისეთი სასწავლო აქტივობები და დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და ხელს უწყობს ღრმა, ფუნქციური ცოდნის განვითარებას. აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ინდივიდუალურად განვითარდნენ, წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განივითარონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული, როგორც სწავლების ძირითადი შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასურველია კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული ჩარჩოთი და ყველა კურიკულუმი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს,ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა დათვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმები წარმოადგენს მოქნილ, მუდმივად განვითარებად და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულს. კურიკულუმებში სასწავლო მასალა დაგეგმილია არა მშრალი თეორიით, არამედ მოსწავლის ინტერესებსა და შემოქმედებით უნარებზე მორგებული შემოქმედებითი დავალებების იდეებითა და კონტექსტური

	მაგალითებით (მაგალითად: საყვარელი სცენის შექმნა ზღაპრიდან Paint 3D-ში, თავსატეხის შედგენა, ანიმაციების შექმნა Scratch-ში და სხვა). ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა მოსწავლემ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში, მისთვის ნაცნობ და საინტერესო კონტექსტში გამოიყენოს. კათედრის სხდომის ოქმები პირდაპირ უსვამს ხაზს იმას, რომ აქტივობები იგეგმება იმისათვის, რათა „დაეხმარონ მოსწავლეებს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებაში“. კურიკულუმის განვითარების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას. კურიკულუმის განუყოფელი ნაწილია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც ორიენტირებულია არა ნიშნის დაწერაზე, არამედ უკუკავშირზე, სწავლის პროცესში არსებული სირთულეების იდენტიფიცირებასა და მოსწავლეთა დახმარების სტრატეგიების შემუშავებაზე. კურიკულუმის განვითარების გზაზე გათვალისწინებულია დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების საჭიროებები, რისთვისაც სპეციალურად იგეგმება დამატებითი აქტივობები და მეცადინეობები სწავლაში არსებული სირთულეების გადასალახად. ასევე, ცალკე დოკუმენტით არის გაწერილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა (სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული აქტივობები), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სრულად მოსწავლეზეა ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** • სასურველია ტექნოლოგიებში ყველა საფეხურზე ქვესაკითხები /სამიზნე ცნებები უფრო დეტალურად ჩაიშალოს შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით სასურველია, კურიკულუმში დაემატოს ფორმულირებები, როგორიცაა: „დავალება ადაპტირდება მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად“ან „სსსმ მოსწავლეებისთვის გამოიყენება ალტერნატიული მეთოდები და შეფასება“

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სტანდარტის შესაბამისია, მოცემული დავალებები არის საინტერესო და მრავალფეროვანი; თუმცა არსებობს მცირედი განსხვავებ სხვადასხვა კლასის კურიკულუმის ჩარჩოებს შორის, კერძოდ, ზოგიერთი კომპონენტი ყველგან არ გვხვდება. ასევე, შეინიშნება მცირედი უზუსტობები კურუკულუმის შევსებისას . სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია კათედრაზე შეთანხმებულ იქნას ოთხივე საგნის (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი, ასევე მოხდეს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უკვე არსებული კურიკულუმების გადახედვა/გადასინჯვა.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით, თითოეულ თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შეინიშნება თემების საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის კორელაცია. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, სხვადასხვა აქტივობები, ემსახურება მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, პრობლემის გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების (ქვესაკითეხბის) საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებული საგნების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზანებისკენ. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენონ ახალი ცოდნა და უნარები. შემოქმედებითი დავალებები ისეა შედგენილი , რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში და უწევს იაზროვნოს კრიტიკულად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დომუნეტაციის საფუძველზე, სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. შემოქმედებითი დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. მსჯელობას ამყარებს ესთეტიკური აღზრდის კათედრასთან ჩატარებული ინტერვიუ. კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები არის გააზრებული და მიემართება საგნობრივ სტანდარტებს.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სამივე საფეხურზე, ხელოვნების კურიკულუმში მკაფიოდ გამოკვეთეთ თემატური ბლოკები, რომელსაც მიემართება სასწავლო თემები. ასევე უფრო კონკრეტულად ჩაშალეთ ქვეცნებები.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, შუალედური მიზნების და თემის, როგორც სტრუქტურული ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება საფეხურის შედეგი, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მოთხოვნებს. კურიკულუმში წარმოდგენილი თემატური ერთეულები და შემოქმედებითი დავალებები შერჩეულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს ცოდნის ტრანსფერი და მოსწავლის აქტიური ჩართულობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა** - სასურველია, რომ სახელმწიფო ენის კათედრამ ყველა კლასის კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება.
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. თითოეული თემატური ერთეული და მასთან დაკავშირებული აქტივობა უკავშირდება საგნობრივ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები

	და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი არ არის იზოლირებული გეგმა – ის მთლიანად ეფუძნება და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. II-VI კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმებში თითოეული სასწავლო თემა და საკითხი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ **სამიზნე ცნებებზე**. დოკუმენტებში მკაფიოდ არის გაწერილი ისეთი ცნებები, როგორიცაა: *პირობითი ნიშნები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, კომპიუტერის აგებულება, (ალგორითმი) პროგრამული კოდი, მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი, ციფრული მოქალაქეობა* და *ციფრული წიგნიერება*. სწორედ ამ ცნებების დაუფლება წარმოადგენს ესგ-ს საგნობრივ მოთხოვნას. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მეთოდოლოგიური მოთხოვნაა ცოდნის კონსტრუირება ფუნქციურ კონტექსტში, რაც კურიკულუმში ხორციელდება **შემოქმედებითი დავალებების** იდეებით. მოსწავლეები არა უბრალოდ თეორიულად სწავლობენ პროგრამებს, არამედ ქმნიან პროდუქტს: თავსატეხებს, ანიმაციებს Scratch-ში, საინფორმაციო პოსტერებს და ა.შ. ეს უზრუნველყოფს ესგ-ს მიზნების – ფუნქციური და ტრანსფერული ცოდნის განვითარებას. შეფასების რუბრიკები (მაგალითად, „უსაფრთხოება ინტერნეტში“ და Scratch-ის ანიმაციები) ორიენტირებულია ისეთ უნარებზე, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტებია: კრიტიკული აზროვნება, საავტორო უფლებების დაცვა, ციფრული ეთიკა, კიბერბულინგის საფრთხეების გააზრება და შემოქმედებითობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე, სასურველია, დაიგეგმოს ტექნოლოგიების პროექტები სხვა საგნებთან ინტეგრირებით, ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და სხვა.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოცემული სკოლის დაწყებითი კლასების (1-4)ოთხივე საგნის საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება სტანდარტის შედეგების მიღწევის მზაობა. შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები, როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ელექტრონული და მატერიალური სახით, შეესაბამება გაწერილ აქტივობებს. მრავალფეროვანი ვიდეო მასალა ხელს შეუწყობს სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, შესაბამისობაშია, სკოლის (კათედრის) მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ჩაშენებული/მითითებული რესურსები: გრიფ მინიჭებული სახელმძღვანელოები, განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული მულტიმედია რესურსები. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები : გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები ,დამატებითი აუდიო და ვიდეო რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია უცხოური ენების კათედრაზე კურიკულუმში ყველა საფეხურზე მიეთითოს ყველა ციფრული თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. (სამივე საფეხურზე ინგლისურ და რუსულ ენებში)
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესს ხდის მოსწავლეთათვის საინტერესოსა და მოქნილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	გამოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო რესურსი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თუმცა არსებული რესურსები ორიენტირებულია ეფექტიან გამოყენებაზე - ეხმარება მოსწავლეს საკითხის უკეთ გააზრებასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში. რესურსები გამოიყენება სწავლის სტრატეგიების გათვალისწინებით.

	სასწავლო პროცესში გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსებად დამატებითი ტექსტები, პლაკატები, ელექტრონული რესურსები. როგორც მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რესურსების შექმნაში მოსწავლეებიც ხშირად მონაწილეობენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენოს მრავალფეროვანი რესურსი, ციფრული და დამატებითი ლიტერატურა.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია ისე, რომ ისინი სრულად ემსახურება სასწავლო მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა გამიზნულად იქნა შერჩეული სხვადასხვა ტიპის რესურსები (სახელმძღვანელო, სწავლების ელექტრონული პლატფორმები, ვიდეო მასალები, სხვადასხვა ბეჭდური გამოცემები...). აღნიშნეს, რომ თითოეული რესურსი უკავშირდება კონკრეტულ სწავლის შედეგს და ეხმარება მოსწავლეს ცნებების გაგებაში, პრაქტიკულ გამოყენებასა და უნარების განვითარებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** (დაწყებითი, საშუალო) მათემატიკაში სასურველია, თემის სწავლებისას გამოსაყენებელი დამატებითი ვიდეო თუ სხვა სახის ელექტრონული რესურსის დასახელებისას II, IV, XI და XII კლასების კურიკულუმებში დაიტანონ კონკრეტულ რესურსზე წვდომის ლინკი და არა მხოლოდ დასახელება.
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების

	შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში ინტეგრირებული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები და კონკრეტული ელექტრონული ბმულები **სრულად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ დასახული სწავლის შედეგების მიღწევას**, რომელიც მოსწავლეს თეორიული ცნებებიდან რეალურ, პრაქტიკულ შედეგამდე მიიყვანს. კურიკულუმები მდიდარია კონკრეტული ვებგვერდების ბმულებით, ეს მოსწავლეს ეხმარება, რომ „კეთებით სწავლების“ პრინციპით მიაღწიოს შედეგს: • კურიკულუმში შეტანილია როგორც თავად პლატფორმის ბმულები (scratch.mit.edu), ისე მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული სამოდელო პროექტები. ეს მოსწავლეს აძლევს მზა ორიენტირს, თუ რა პროდუქტი უნდა შექმნას (მაგ. ალგორითმების შესასწავლად). • III კლასის გეგმაში მითითებული **Code.org**-ის კონკრეტული გაკვეთილების ბმულები უზრუნველყოფს, რომ მოსწავლემ თამაშის საშუალებით, დამოუკიდებლად და ხალისით აითვისოს კოდირების საწყისები. • გამოყენებულია **school.emis.ge**-ის ოფიციალური რესურსები, რაც პირდაპირ თანხვედრაშია სამინისტროს მიერ რეკომენდებულ სტანდარტებთან. დოკუმენტებში რესურსები არ არის ერთფეროვანი; ისინი დიფერენცირებულია და მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა გზას ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად: • ერთი და იმავე სამიზნე ცნების (მაგ. მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი ან პირობითი ნიშნები) დასამუშავებლად კურიკულუმი გვთავაზობს შესადარებელ, ალტერნატიულ პროგრამებს: **„ვსწავლობთ თამაშით“, Minecraft: Education Edition, Microsoft Paint, Paint 3D, MS PowerPoint** და **MS Word**. • ეს მიდგომა მასწავლებელს აძლევს საშუალებას, რესურსი მოარგოს კლასის მზაობას, ხოლო მოსწავლეს ეხმარება დაინახოს, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე ტექნოლოგიური პრინციპი სხვადასხვა ციფრულ გარემოში (ტრანსფერის უნარი). კათედრის სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ხდება **„საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია“ .** რესურსების

	შერჩევა და დანერგვა ხდება კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთდასწრების გზით, რაც ზრდის სწავლების ხარისხს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები გვერდებისა და პარაგრაფების დასახელებით. ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც ვალიდირებულია კათედრის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცით (ინდ.გეგმა. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამომქედო გეგმა, ისგ.სხდომის ოქმიN2;N4;N6 შემოქმედებითი დავალებები)და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში ინკლუზიურ/დიფერენცირებული მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულ დავალებაზე მუშაობა მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებასა და მის საფუძველზე ახალი ცოდნის აგებას გულისხმობს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების მასწავლებლებს შეაქვთ ცვლილებები სწავლა - სწავლების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის

	ინტერვიუს პროცესშიც, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ყველა მასწავლებელმა აღნიშნა და აღწერა როგორ იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მქონე და ასევე ასეთი საჭიროების არ მქონე მოსაწვლეების სწავლა - სწავლების პროცესის შედეგიანობის ზრდისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს,რომ მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური პროგრესის მხარდაჭერას. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ შემოქმედებითი დავალების პირობის მოდიფიცერებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, თვითშფასების დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში და კათედრასთან ინტერვიუდან ჩანს, რომ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდიალურ შესაძლებლობეს, საჭიროებებს და ამის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას. კურიკულუმებში უმეტესად აისახება ყოველივე. მოდიფიცირებული ი.ს.გ გეგმებით, განხორციელებული აქტივობებით და ფოტო მტკიცებულებით შეიძლება დადასტურდეს რომ მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სასწავლო პროცესი არის იკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ინკლუზიურობაზე, თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ და უსაფრთხო ჩართულობას სასწავლო საქმიანობაში. სწავლების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები, მზაობა და სწავლის სტილი, რის საფუძველზეც მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და ეფექტურ სასწავლო სტრატეგიებს. ეს გამოიხატება აქტივობების მრავალფეროვნებაში, ასევე სასწავლო პროცესისა და საბოლოო პროდუქტის დიფერენცირების შესაძლებლობაში. სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები, რომლის შესაბამისად შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის სიმცირის გამო უფრო მარტივად ახერხებენ და სწავლებისას იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს. ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები — დავალებების სირთულე და მოცულობა მორგებულია სხვადასხვა აკადემიური დონის მოსწავლეებზე. სასწავლო გარემო ხელს უწყობს კომფორტულ, მხარდამჭერ ატმოსფეროს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თვითდაჯერებულობას და განვითარების შესაძლებლობას.
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა ისაუბრეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური მიდგომების შესახებ. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ მასალებში დადასტურებულია რომ **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** საგნობრივ კურიკულუმებში (II-VI კლასები) ერთი და იმავე თემის ფარგლებში მასწავლებელს შემოაქვს სხვადასხვა სირთულისა და სპეციფიკის პროგრამები (მაგ. *„ვსწავლობთ თამაშით“, Paint 3D, Scratch, Code.org, Word, PowerPoint*). ეს საშუალებას იძლევა, დავალება მოერგოს როგორც ვიზუალური, ისე პრაქტიკული სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დიფერენცირებულ სწავლებას. დოკუმენტი – **„ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა“** – პირდაპირ ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ყველასთვის ხელმისაწვდომია. გეგმა ითვალისწინებს: • **სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული** სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას. • ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (ისგ) მიღწეული შედეგების მუდმივ განხილვას, გამოწვევებისა და გამოყენებული სტრატეგიების ანალიზს. • სსსმ მოსწავლესა და კლასს შორის პოზიტიური ურთიერთობების, ჯგუფთან მიკუთვნებულობისა და სოციალიზაციის მხარდაჭერას. კათედრის სხდომის ოქმები (კერძოდ, ოქმი №2) ნათლად აჩვენებს, რომ მასწავლებლები არ იყენებენ „ერთნაირ მიდგომას ყველასთვის“: • სემესტრული ანალიზის საფუძველზე ხდება **დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიცირება**. • ამ მოსწავლეებისთვის იგეგმება **დამატებითი მეცადინეობები და სპეციალური აქტივობები** სწავლაში არსებული სირთულეების გადასალახად და შედეგების გასაუმჯობესებლად.

	შეფასების ინსტრუმენტები თავისი არსით დიფერენცირებულია. მაგალითად, „განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა“ და „Scratch-ის შეფასების რუბრიკა“ მოსწავლის მიღწევებს ყოფს სხვადასხვა დონეებად (დაბალი, საშუალო, მაღალი / ქულების მიხედვით). რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, დაინახოს, თუ რა ეტაპზეა კონკრეტული მოსწავლე და მიაწოდოს მას **ინდივიდუალური უკუკავშირი** (განმავითარებელი შეფასება), რაც დიფერენცირებული სწავლების უმთავრესი პრინციპია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია. მე-2 კლასში არის 2 სსსმ მოსწავლე. გადმოგზავნილი ისგ გეგმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს, ინდივიდუალური და საერთო საკლასო საჭიროებების გამოვლენისთვის. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის. **რჩევა :** სასურველია დაწყებითების კურიკულუმებშივე იყოს გათვალისწინებული სსსმ მოსწავლეებისათვის შემოქმედებითი დავალებები . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ სამივე საფეხურისათვის წარმოადგინა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.მათ შორის თემის ფარგლებში, საკითხისა და შემაჯამებელი სამუშაოსთვის განსაზღვრული. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და ამოცანებს. შეფასება გააზრებულია,

	როგორც ცოდნის დონის განსაზღვრისა და სწავლის პროცესის ხელშემწყობი საშუალება. შეფასების რუბრიკები მიემართება სამიზნე ცნებებსა და მისაღწევ შედეგებს და მოიცავს შესაბამის აღწერით კრიტერიუმებს. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ სკოლა მუშაობს/აქვს მზაობა სწავლებისას ეფექტურად გამოიყენოს შეფასების სისტემა. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, შეფასების მეთოდები და რუბრიკები, მთლიანობაში (წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლების მიერ აღწერილი სწავლა - სწავლების პროცესის საფუძველზე) შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების და მათი შეფასების რუბრიკების გაანალიზების შედეგად, ვთვლი რომ კათედრამ უნდა გააგრძელოს მუშაობა შემაჯამებელი დავალებების ბარათების ფორმების და სტრუქტურის გაუმჯობესებისკენ, დავალებების გამრავალფეროვნების მიზნით, ასევე თითოეულ დავალებასთან დაკავშირებული შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე ყველა შესაძლებლობის და საჭიროებების მქონე მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2025-2026 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდნენ, როგორც საშინაო და მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლის წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები უცხოურ ენებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** **<u>რჩევა</u>**

	სასურველია, მასწავლებლებმა შეფასების კრიტერიუმები მოარგონ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, აქტიურად გამოიყენონ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების პრაქტიკა საგაკვეთილო პროცესში.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოადგენილია შეფასების რუბრიკები, სამივე საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში. სხვადასხვა უნარებისა და ცოდნის შესამოწმებელი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია რომ სკოლა კათედრებზე შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სამივე საფეხურზე, სასურველია კათედრამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემატური ბლოკის მიხედვით, სადაც ინდიკატორები მორგებული იქნება სამიზნე ცნებებს.
სახელმწიფო ენა	კათედრას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევისკენ და მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას. **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრა სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნოს იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით, რა ფასდება დავალებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების მიხედვით და ემსახურება როგორც სწავლების, ასევე სწავლის პროცესის მხარდაჭერას. სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების

	სქემები, რომლითაც გეგმავენ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მოსწავლეებს წინასწარ აქვთ ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტებზე, კრიტერიუმებზე, და როგორც აღნიშნეს ინტერვიუსას გამოკრულია საკლასო ოთახში. მოსწავლე იცის, რას, როდის და როგორ აფასებენ. სსსმ მოსწავლეებისთვისაც ისგ-ში გაწერილი აქვთ შეფასება და მოსწავლის პროგრესის შეფასებაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: (ყველა საფეხურზე) სასურველია, რომ სასწავლო წლის (სემესტრის) დაგეგმვისას წინასწარვე შეიქმნას შეფასების რუბრიკები და მათი შექმნისას გათვალისწინებული იყოს კურიკულუმში გაწერილი თემები; შეფასების რუბრიკების შედგენისას, მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმის უახლესი ვერსიითა და მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით შესაბამისად და შეფასების რუბრიკები გაწეროს თითოეული თემის მიხედვით და ორიენტირდეს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე.
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	**მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან**. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა მოითხოვს, რომ შეფასება იყოს ორიენტირებული არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზე, არამედ მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებასა და გრძელვადიან პროგრესზე. თქვენი დოკუმენტები აჩვენებს, რომ ეს მოთხოვნები ზუსტად არის დაცული. • **განმსაზღვრელი შეფასება** გამოიყენება შემაჯამებელი სამუშაოსთვის (მაგ. პროექტი „უსაფრთხოება ინტერნეტში“), სადაც მოსწავლის მიღწევა იზომება 10-ქულიანი სისტემით და კონკრეტული კრიტერიუმებით.

	• **განმავითარებელი შეფასება** არ იწერება ქულაში, არის მუდმივი და „ორიენტირებულია უკუკავშირზე“. ის ეხმარება მოსწავლეს წინსვლაში, ხარვეზების აღმოფხვრასა და მოტივაციის ამაღლებაში, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის უმთავრესი ამოცანაა. შეფასების კრიტერიუმები არ ამოწმებს მშრალ, მექანიკურ მეხსიერებას. ისინი მიმართულია იმ ფუნქციურ უნარებზე, რომლებსაც ესგ მოითხოვს: • დაბალი დონე ფასდება, როგორც „ზედაპირული საუბარი“, ხოლო მაღალი დონე – როგორც „სიღრმისეულად აანალიზებს ციფრული უფლებებისა და მოვალეობების კავშირს“. • ფასდება ინფორმაციული წიგნიერება (წყაროების სანდოობის შემოწმება, საავტორო უფლებების დაცვა) და ციფრული ეთიკა (ნეტიკეტი, კიბერბულინგის საფრთხეების გააზრება, ემპათიის გამოვლენა). • Scratch-ის რუბრიკაში ქულები ნაწილდება დამოუკიდებლად შექმნილი პროდუქტის (ანიმაციის, კოდების, ხმის ოპერატორების, ცვლადებისა და მოვლენების გამოყენების) ხარისხის მიხედვით. **რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე, შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

	წარმოდგენილია მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, ასევე კათედრაზე შემუშავებული სხვადასხვა აქტივობების ზოგადი ხასიათის სქემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

საგნობრივი კურიკულუმები

ისგ გეგმები

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო საგნების საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე, მათ შორის საბაზო და საშუალო საფეხურზე სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია ბიოლოგია) და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილია, შესაბამის საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა საგანამანათლებლო ელექტრონული რესურსი. აღნიშნული მტკიცებულებები(კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, საგნის კურიკულუმები,კათედრის სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმი) ადასტურებს, რომ სკოლაში არის მოქმედი სისტემატიური პროცედურები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება, კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად, მიემართება ესგ-თი განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევისკენ. რასაც ადასტურებს ერთი მხრივ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები) მეორე მხრივ კი ინტერვიუს პროცესში მასწავლებლების მიერ აღწერილი სწავლა - სწავლების პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების რეფლექსია, აქტივობები, მოსწავლეთა ნამუშევრები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები, განხორციელებული შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია,ინტეგრირებული გაკვეთილები,დაგეგმილი და განხორციელებული საგნობრივი პროექტები, რაც ადასტურებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და კათედრასთან ინტერვისას გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გაწერილი სასწავლო პროცესი შეესაბამება ეროვნული სასწავლო სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია თანმიმდევრულად და მოიცავს როგორც შუალედურ მიზნებს, ასევე აზუსტებს სამიზნე ცნებების შინაარსს. სასწავლო პროცესი მიმართულია საგნობრივი საკითხების გააზრებისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და უზრუნველყოფს სამიზნე ცოდნის დაუფლებასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	კათედრაზე სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები წლის დასაწყისში კათედრებზე ერთობლივად შეიმუშავებენ, აახლებენ და საჭიროებისამებრ ცვლიან სასკოლო კურიკულუმს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს შეთანხმებული კურიკულუმის საფუძველზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი ადაპტირება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დეგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახავს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. გაკვეთილების თემატური დაგეგმვა შეესაბამება წლიური მიზნებისა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივშორისი კავშირების გაღრმავება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უნარების განვითარებას რეალურ კონტექსტში. ეს მიდგომები აძლიერებს სწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და ემსახურება ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.
სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს სამივე საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და

	სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	**სასწავლო პროცესი სრულად არის დაგეგმილი და იმართება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად**. სკოლის ოფიციალური დოკუმენტები ადასტურებს, რომ კურიკულუმი არ არის ფორმალური ხასიათის. სკოლის თვითშეფასების ფორმაში“ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ **„წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია“**, რომელიც ეფუძნება დანერგვის პროცესში მიღებულ გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მიჰყვება ცოცხალ, მუდმივად რევიზირებად სასკოლო კურიკულუმს კათედრის დონეზე დაგეგმვა და რესურსების ვალიდაცია: მუშავდება და მტკიცდება საგნობრივი კურიკულუმები II-VI კლასებისთვის. ხდება ციფრული და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების (ბმულების, პროგრამების) შერჩევა და მათი ოფიციალური **ვალიდაცია კათედრის მიერ**. შეფასების სისტემის თანხვედრაშია კურიკულუმის მიზნებთან, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა ზუსტად ასახავს კურიკულუმით დასახულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს). კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები (მაგალითად, Scratch-ში ანიმაციის შექმნა ან პროექტი „უსაფრთხოება ინტერნეტში“) ფასდება სპეციალურად შემუშავებული კრიტერიუმებით. შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესის შედეგები გაზომვადი იყოს ზუსტად იმ ინდიკატორებით, რასაც კურიკულუმი მოითხოვს. სასწავლო პროცესი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში მიმდინარეობს, არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან (სსსმ) მუშაობის პრაქტიკა:

	• **„სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი“** პირდაპირ უთითებს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) იქმნება საგნობრივი კურიკულუმის ბაზაზე, სადაც მასწავლებელს აქვს უფლება შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები. • • ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები (ოქმი №2, №4, №6) დეტალურად აღწერს, თუ როგორ ხდება კონკრეტული მოსწავლისთვის გეგმის შემუშავება, სადაც აქტივობები მჭიდრო კავშირშია საგნობრივი გეგმის მიზნებთან. • სემესტრის ბოლოს კი, მასწავლებელთა განმავითარებელი შეფასებების საფუძველზე, ოფიციალურად დასტურდება, რომ **„მიღწეულია ის მიზნები, რომელიც დაისახა მისი შედგენის დროს“**. • კათედრის სხდომის ოქმი №2 ადასტურებს, რომ სემესტრული შეფასებების ანალიზის საფუძველზე, დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის იგეგმება დამატებითი მუშაობა და ინტერვენციის სტრატეგიები, რაც კურიკულუმის ციკლის სრულყოფილ მუშაობაზე მეტყველებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი-დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით-დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლებმა ოთხივე საგანში მკაფიოდ და ნათლად ისაუბრეს შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ეტაპებზე, აქტივობებსა და შედეგებზე. ასევე პრობლემურ საკითხებზე. **რჩევა:** სასურველია, სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ დაწყებითების კათედრის კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ, კოლეგებთან თანამშრომლობით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. სასწავლო წლის განმავლობაში ხდება საჭიროებების დადგენა და შემდგომ სკოლა მოქნილად რეაგირებს იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე, რაც აისახება სასკოლო გარემოს, შემოქმედებითი დავალებების, რესურსების მოდიფიცირებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს, რაც დასტურდება ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით, აღნიშნული უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ, სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას . კათედრა მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს სხვადასხვა მიდგომასა და მრავალფეროვან წყაროებს. წარმოდგენილია დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, პროექტის,პრეზენტაციისა და შემაჯამებელი სამუშაოს ამსახველი შეფასების სქემები და კრიტერიუმები,რაც ქმნის შეფასების პროცესის ობიექტურად და მრავალმხრივ წარმართვის საფუველს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასების პროცესში კათედრაზე გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე გაერთიანებული მასწავლებლები აღნიშნავენ რომ ახორციელებენ ჰოლისტურ შეფასებას. სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საჭიროებს

	დახვეწას - შედგებოდეს ნათლად აღსაქმელი შეფასების კრიტერიუმებისგან და მიემართებოდეს თითოეული ტიპის დავალების/სავარჯიშოს/აქტივობის თავისებურებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა , რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ,შემოქმედებითი და დავალებების ანალიზის ფორმები. ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი.მასწავლებლები მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარება მათ ზუსტად გაიაზრონ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.ეს კი უზრუნველყოფს შეფასების სიტემის გამჭვირვალობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, სამივე საფეხურზე, დაინერგოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკა. შეფასების კრიტერიუმები მოერგოს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ორივე საგნის ზოგადი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თვითშფასების დოკუმენტი. ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოჩნდა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების რებურიკებს, ასევე მათ ინდივიდუალურად ეძლევათ განმავითარებელი შეფასების დროს კომენტარები რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების რუბრიკები შეესაბამება დავალების მიზანსა და შინაარსს და დაკავშირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შედეგებთან. შეფასების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, რომლებიც მოსწავლეთა შედეგებისა და განვითარების გაუმჯობესებას ემსახურება. ასევე აქტიურად გამოიყენება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლებსაც მოსწავლეები იცნობენ. ხშირად თავადაც მონაწილეობენ შეფასების რუბრიკების შემუშავებაში. აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება მოსწავლეთა მიღწევების ობიექტური და სამართლიანი შეფასება, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე და თანასწორი სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემებით მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და პროგრესის კონტროლს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის უმეტესად ნათელია რა კონცეფციაზე დაყრდნობითაა შემუშავებული შეფასება. მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ მოსწავლეებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტებზე და კრიტერიუმებზე, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა — რას, როდის და როგორ აფასებენ, რაც ზრდის მათი პასუხისმგებლობის განცდას და მოტივაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და

	სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, **რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი**. შეფასება არის ვალიდური, რადგან ის ზუსტად მიემართება კურიკულუმით დასახულ მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებებს: • II-VI კლასების კურიკულუმში სამიზნე ცნებად განსაზღვრულია „(ალგორითმი) პროგრამული კოდი“ ან „ციფრული მოქალაქეობა“, შეფასების რუბრიკებიც ზუსტად ამ ცნებების ფლობის დონეს ზომავს (მაგალითად, Scratch-ის კოდების სწორად წერა ან ინტერნეტუსაფრთხოების წესების ანალიზი). არ ხდება ზედმეტი, თემასთან აცდენილი თეორიული მასალის შეფასება. • რუბრიკებში დეტალურად არის გაწერილი, თუ რას ნიშნავს, მაგალითად, „მაღალი დონე“ ან რა შემთხვევაში იწერება „9-10 ქულა“. მოსწავლემ და მშობელმა წინასწარ იციან, რა მოეთხოვებათ. • ინკლუზიური განათლების გეგმა და ისგ ოქმები პირდაპირ ითვალისწინებს „მშობლის აქტიურ ჩართულობას“ და „მოსწავლის მიღწევებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებას“. • Scratch-ის რუბრიკაში ქულები გაწერილია კონკრეტული მოქმედებების მიხედვით: „შეუძლია ცვლადების შემოტანა“, „მართავს ობიექტებს ღილაკებით“. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი სხვა მასწავლებელიც ამ რუბრიკის გამოყენებით თითქმის იდენტურ ქულას დაწერს, რაც სუბიექტურობის რისკს მინიმუმამდე ამცირებს. • კურიკულუმები და რესურსები გადის კათედრის მიერ ვალიდაციას, ხოლო სემესტრული შედეგები ერთობლივად განიხილება კათედრის სხდომებზე, რაც უზრუნველყოფს აკადემიური მიდგომების ერთიანობასა და ობიექტურობას. • სკოლა იყენებს „სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმს“, სადაც ნათქვამია, რომ მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს მოსწავლე ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით. ისგ

	ოქმები (№4, №6) ადასტურებს, რომ შეფასება ხდება არა ზოგადი კლასის სტანდარტით, არამედ მისთვის სპეციალურად დასახული მიზნების მიხედვით. • კათედრის ოქმი №2 აჩვენებს, რომ ხდება სირთულეების იდენტიფიცირება და დახმარების სტრატეგიების შემუშავება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს. მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლას აქვს ვერიფიკაციის დებულება, რომლის პრინციპებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. სკოლაში ვერიფიკაცია შესაძლოა განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, სკოლის დირექტორის ინიციატივით, ან გეგმიურად. სკოლა შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის იყენებს სხვადასხვა მექანიზმს: განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, კლასის მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, სემესტრული/წლიური გამოცდების ჩატარებას, როცა მოსწავლეს მოითხოვს სემესტრული ნიშნის ამაღლებას. სკოლაში ფუნქციონირებს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის გამოყენებაზეც საუბრობდნენ მასწავლებლები ექსპერტებთან გასაუბრებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

   სკოლა ახორციელებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, კანონმდებლობის შესაბამისად, არანაკლებ სამი წლის ვადით. სკოლას აქვს დოკუმენტების არქივი მატერიალური სახით, სადაც დაცულია გასული წლების მონაცემები შეფასებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე სკოლაში შეფასება იწერება ელექტრონულ ჟურნალში და ელექტრონული სისტემა თვითონ უზრუნველყოფს აღნიშნული მონაცემების შენახვას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ვერიფიკაციის მექანიზმი
2.კურიკულუმები
3. .განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
5.მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
6.კათედრების სამუშაო გეგმები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის წარმოდგენლი დოკუმენტაციით კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსებით იკვეთება, რომ სკოლა იყენებს/აქვს მზაობა გამოიყენოს,სასწავლო საგანმანათლებლო რესურსი, რაც იძლევა იმის საშუალებას ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია კათედრამ თავისი საქმიანობით წარმატებით მიაღწიოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს.

	ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში არის როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებად კურიკულუმში ასახულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია თემებთან და საკითხებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სამივე საფეხურზე, სასურველია, უცხოური ენის კათედრაზე საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკასა და ხელოვნებაში სკოლის მიერ შერჩეული და გამოყენებული ძირითადი ან დამხმარე სასწავლო რესურსები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს სასწავლო მასალის ათვისებასა და გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებული საძემძღვანელოა.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სამივე საფეხურზე, სასურველია, შეიქმნას რესურსების ბანკი, სადაც ატვირთული იქნება ვიდეო და ფოტო მასალები, საკუთარი ხელით დამზადებული სახალისო და საინტერესო რესურსები.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნობრივად შერჩეული რესურსებით, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოებით, დამატებითი ტექსტებით, პლაკატებითა და ელექტრონული რესურსებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. რესურსების შერჩევა ხდება საგნობრივ კათედრებზე, ხოლო მასწავლებლების განმარტებით, მათი შექმნის პროცესში ხშირად თავად მოსწავლეებიც მონაწილეობენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სწავლების მეთოდურ მრავალფეროვნებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის რესურსი: სამუშაო ფურცლები, ვიზუალური მასალები, ონლაინ პლატფორმები და სხვა. ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გადატანაში, კრიტიკული და რაოდენობრივი მსჯელობის განვითარებაში და მათემატიკური ცნებების ფუნქციურად გააზრებაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რესურსების გამოყენების პრაქტიკა სკოლაში თვალსაჩინოა, ყველა გამოყენებული რესურსი სრულად არ აისახება წერილობით კურიკულუმში, რაც აფერხებს დაგეგმვის პროცესში რესურსების სისტემურად დანახვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** (საშუალო) სასურველია, რომ მათემატიკის XI და XII კლასის კურიკულუმებში მკაფიოდ მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენება

	სასწავლო პროცესში, რაც გააუმჯობესებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და გააჩენს რესურსების გააზრებულად შერჩევის კულტურას.
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში,სამივე საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოწოდებული მასალების საფუძველზე (საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები, თვითშეფასების ფორმა და რესურსების ბმულები), კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში მიმდინარეობს **სისტემურად, მიზანმიმართულად და ეტაპობრივად**. დამხმარე რესურსები, როგორიცაა ინტერაქტიული საგანმანათლებლო პლატფორმები, გამოიყენება რთული ტექნოლოგიური და ალგორითმული ცნებების მარტივად ასახსნელად: • III კლასში ალგორითმების სწავლებისას გამოიყენება **Code.org**-ის კონკრეტული გაკვეთილების ბმულები. მოსწავლეები თამაშის პრინციპით, ეტაპობრივად გადიან დონეებს, რაც მათ ბლოკ-პროგრამირების ლოგიკას უვითარებს. • III და V კლასებში სამინისტროს ოფიციალური პლატფორმა **school.emis.ge** (ელექტრონული სცენარები) გამოიყენება პირობითი ნიშნების, ინტერფეისისა და კომპიუტერული ნაწილების თვალსაჩინოებისთვის. კურიკულუმის მიხედვით, ძირითადი და დამხმარე რესურსები ემსახურება **შემოქმედებითი დავალებების პროდუქტის შექმნას**. მასწავლებელი რესურსს იყენებს როგორც მოდელირების ინსტრუმენტს: • III და VI კლასის კურიკულუმებში მითითებულია „ჩემ მიერ მომზადებული ელ. რესურსი“ (კონკრეტული Scratch პროექტების ბმულები). მასწავლებელი ჯერ აჩვენებს მზა ნიმუშს (მოდელირება), ხოლო მოსწავლეები ამ რესურსზე დაყრდნობით თავად ქმნიან საკუთარ ანიმაციებს, თავსატეხებსა თუ კოდებს.

	კურიკულუმით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, რაც მოსწავლეს ეხმარება ერთი და იგივე უნარი სხვადასხვა გარემოში გამოსცადოს: • კლასების მიხედვით მოსწავლეები მუშაობენ მრავალფეროვან ციფრულ გარემოში: **Paint 3D** (ვიზუალური სცენების შესაქმნელად), **Scratch** (ალგორითმებისა და ციკლებისთვის), **MS Word და MS PowerPoint** (საინფორმაციო ფლაერების, კროსვორდებისა და პრეზენტაციების მოსამზადებლად). სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, რესურსების ეფექტურობა მუდმივად კონტროლდება. სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილებისა და კურიკულუმის დანერგვის ანალიზის საფუძველზე, იქმნება „სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი“, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლისთვის რესურსების ბაზა კიდევ უფრო უმჯობესდება და ახლდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს,ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის ოქმისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კათედრა განიხილავს დამხმარე სასწავლო რესურსის ხარისხს, სანდოობას, გამოყენების საჭიროებასა და მიზნობრიობას და აღნიშნულის გათვალისწინებით ახდენს მათ სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს კათედრის წევრი მასწავლებლები, ერთობლივად არჩევენ, იმ რესურსებს კი, რომლებლსაც თავად ქმნიან (კითხვარები, თემატური ბარათები, სავარჯიშოები და ა.შ.) კათედრაზე განიხილავენ და განსაზღვრავენ მათი გამოყენების ვალიდურობის საკითხებს და გზამკვლევებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები . ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ. ყველა რესურსი, რომელიც გამოყენებულა კონკრეტული აქტივობის განსახორციელებლად, სრულად შეესაბამება ესგ-ით და საგნის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკურ საგნებში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და დამტკიცების პროცესი ხორციელდება სკოლის შიდა რეგულაციების საფუძველზე. აღნიშნული პროცედურის ფარგლებში, რესურსების ვალიდაციას უზრუნველყოფს თავად სკოლა. დამხმარე მასალების შერჩევა მიმდინარეობს საგნობრივ კათედრებზე, სადაც მასწავლებლები ერთობლივად განსაზღვრავენ მათ შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. პროცესში უპირატესობა ენიჭება იმ რესურსებს, რომლებიც თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან და ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლაში გამოყენებული სასწავლო რესურსები ვალიდურია, რადგან მათი შერჩევა და შესაბამისობის განხილვა ხდება საგნობრივ კათედრებზე, ეროვნული სასწავლო გეგმისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. გამოიყენება როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე

	დამხმარე თვალსაჩინო და ელექტრონული რესურსები, რომლებიც თემატურად შეესაბამება სასწავლო მიზნებს. მიუხედავად ამისა, იგეგმება რესურსების განახლება და გამრავალფეროვნება საჭიროებების კვლევის საფუძველზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლაში/კათედრაზე ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრა, რომელიც ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში განიხილავს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების შერჩევის საკითხებს. კერძოდ, მათემატიკის კათედრის სხდომის N1 ოქმი (03.09.2025) ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში განხილული იქნა საკითხი: *„საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია;“.* სხდომის ფარგლებში კათედრის წევრებმა განიხილეს ძირითადი და დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათი ფუნქციურობა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას — ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ რესურსების შერჩევა ემყარება პროფესიულ მსჯელობას, საგნობრივ და ასაკის შესაბამისობას და არა შემთხვევითობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** (ყველა საფეხურზე მათემატიკაში) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება, მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია მკაფიო მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს სასწავლო პროცესში დაუდასტურებელი, არასანდო ან ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შეუსაბამო დამხმარე რესურსების შემთხვევით მოხვედრას. თითოეული რესურსი გადის ვალიდაციას საგნობრივი კათედრის მიერ.

	„კათედრების მუშაობის დებულების“ თანახმად, კათედრის ერთ-ერთი მთავარი მიზანი და ამოცანაა **„სახელმძღვანელოების, სასწავლო რესურსების შერჩევა“** და **„დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიება და ეფექტური გამოყენება“**. ეს ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე კათედრა ერთობლივად განიხილავს და ადასტურებს (ახდენს ვალიდაციას) ყველა იმ დამხმარე პლატფორმასა თუ ბმულს (მაგ. *Code.org, Scratch, school.emis.ge*), რომლებიც შემდეგ კურიკულუმებშია შეტანილი. დამხმარე რესურსების შერჩევა არ არის ერთჯერადი გადაწყვეტილება. სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც: • წლის განმავლობაში რესურსების გამოყენების პრაქტიკა ანალიზდება. • იქმნება **„კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი“**. • ხდება რესურსების ხელახალი გადარჩევა და ვალიდაცია წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობისას, დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კიდევ უფრო ვიწრო, სპეციალიზებული გუნდის მიერ. „სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმისა“ და ისგ ოქმების მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სადაც განთავსებულია სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა, მულაჟები და სასწავლო რესურსები, რაც ხელს უწყობს საგნის სწავლების ვიზუალურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას. თუმცა კაბინეტში არ არის დამონტაჟებული გამწოვი სისტემა და წყლის ონკანი , რაც ზღუდავს უსაფრთხო ექსპერიმენტების, პრაქტიკული სამუშაოებისა და კეთებით სწავლების აქტივობების სრულფასოვნად განხორციელებას. **სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა, რომ სკოლის ლაბორატორიაში მოეწყობა სტანდარტების შესაბამისი გამწოვი სისტემა და სველი წერტილი (1 შენობაში) 2027 წლის 4 ივნისამდე.** ინდიკატორი 2.2.2.3 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, სწავლა - სწავლების პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობას უზრუნველყოფს სათანადოდ მოწყობილი (ყველა საჭიროების მქონე მოსწავლეზე გათვლილი) საკლასო ოთახები და ის ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რომელთა შექმნაშიც ჩართულები არიან მასწავლებლებთან ერთად მოსწავლეები, და გათვალისწინებულია სწავლა - სწავლების პროცესზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი გამოწვევები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებით, ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ასევე ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა

	ინტერესებსა და საჭიროებებს. სწავლების პროცესში ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის საჭირო ყველა რესურსი, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური ბაზითა და სასკოლო ინფრასტრუქტურით. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ინტერესების მიხედვით გამოიყენონ არსებული რესურსები და აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. ინტერვიუების და ფოტო მრკიცებულებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს პრაქტიკული ხასიათის აქტივობებს, სასკოლო გამოფენებს, შემოქმედებით ღონისძიებეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** საბაზო და საშუალო საფეხურზე,სასურველია, სკოლაში დაინერგოს კლუბური ან დარგობრივი წრეების მუშაობა, რათა მოსწავლეებმა მეტად განავითარონ თავიანთი შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარები.
სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსებით, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. მასწავლებლების თქმით, ყველა მოსწავლე ჩართულია მრავალფეროვან აქტივობებში და არსებული რესურსები მუდმივად ხელმისაწვდომია. ასევე, როგორც აღნიშნეს, მომავალში დაგეგმილია საჭიროებების კვლევა და რესურსების უფრო დეტალური განსაზღვრა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა, კომპიუტერული ტექნიკა, მოძრავი პროექტორი, სივრცული ფიგურები, სხვადასხვა თემატური

	პლაკატები, ელექტრონული პლათფორმები და სხვა. სკოლას აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ შესაბამისად, სკოლის ყველა მოსწავლეს, წინასწარ განსაზღვრული წესით, აქვს წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიაზე და სასკოლო ბიბლიოთეკაზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ვინაიდან სკოლა ახორციელებს კურიკულუმის რევიზიას და მუშაობს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტებით, ეს ავტომატურად გულისხმობს, რომ ინფრასტრუქტურა პასუხობს სკოლაში არსებული მოსწავლეების რაოდენობას. II-VI კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმებში, გრაფაში „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“, სისტემატურად არის მითითებული: **კომპიუტერი, ინტერნეტი, პროექტორი**. • იმისათვის, რომ მოსწავლემ მიაღწიოს სწავლის შედეგს (მაგალითად, დამოუკიდებლად დაწეროს კოდი Scratch-ში ან შექმნას პოსტერი PowerPoint-ში), მას სჭირდება ინდივიდუალური წვდომა კომპიუტერთან. • კურიკულუმის წარმატებით დანერგვა და კათედრის მიერ მისი დადებითი შეფასება ადასტურებს, რომ სკოლის მატერიალური ბაზა (კომპიუტერების რაოდენობა) თანხვედრაშია კლასებში მოსწავლეთა რაოდენობასთან, რაც თითოეულ მათგანს პრაქტიკული მუშაობის საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი და კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი: ერთი წამყვანი და ჩვიდმეტი უფროსი მასწავლებელი, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ. სკოლას არ ჰყავს სპეც.მასწავლებელი, მაგრამ გამოცხადებული აქვს ვაკანსია ოფიციალურ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შესაბამისი საგნობრივი კურუკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
2. საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
3. საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული აქტივობების გეგმა კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
4. შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით საგნობრივი კათედრების, კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
5. საგნობრივი კათედრების სამუშაო სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია- მოვალეობები
2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**
   ამ ეტაპზე უკუკავშირის საშუალებით ხორციელდება პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შედეგები და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი აღნიშნული შედეგების გასაუმჯობესებლად.
3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის დირექცია და კათედრის წევრები ხშირად ესწრებიან კათედრაზე განხორციელებულ სასწავლო და სოციალურ აქტივობებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს და იძლევიან უკუკავშირს, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტური ხასიათისაა და ეყრდნობა მრავალფეროვან მონაცემებს. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინება ხდება არა მარტო მოსწავლის აკადემიური მიღწევის, არამედ მისი პიროვნული მახასიათებლების, სოციალური თუ მატერიალური პირობების, საჭიროებების და სხვა. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების, ურთიერთშეფასების, თვითშეფასებისა და სხვა რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც მიზნობრივად ხდება საგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლების მიერ ხდება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინება, რაც მოსწავლეთა პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. შემდგომ კი ხდება ამ ინფორმაციის გათვალისწინება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება სამივე საფეხურზე, რაც კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშია ასახული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა შეფასების პრინციპებია მოცემული, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმას ეყრდნობა. სკოლის მიერ წარმოდგენილია აგრეთვე შეფასების რუბრიკები: განმსაზღვრელი -- თემის ფარგლებში შექმნილი ესგ-ს მისაღწევ შედეგებზე ორიენტირებული და განმავითარებელი შეფსების რუბრიკები -კონკრეტულ აქტივობაზე მორგებული კოტექსტ-მაგალითიდან გამომდინარე. აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ მასწავლებლები სამივე საფეხურზე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.:

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმა

სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლა კურიკულუმის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შექმნის რეკომენდაციების პაკეტს სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი დაიგეგმა წინა წლის პრაქტიკის გათვალისწინებით. ასე რომ, სამივე საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

საგნობრივი კურიკულუმები

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 5.06.2026

Marine Janashvili 47001017513

Digitally signed by Marine Janashvili
Date: 2026.06.05 21:21:38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: